გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

მხოლოდ 40 თეთრი

№63 (819) 7 - 9 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიპლომატიური აბსურდი

– საქართველოს 4 ქვეყანაში ელჩი ისევ არ ჰყავს!

გვ. 9

რა პრობლემას შეუქმნის ქვეყანას დიპლომატების არარსებობა ვილნიუსის სამიტის წინ

ავღანეთში 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, თვითმკვლელმა ტერორისტმა ავტომობილი ქართულ ბაზასთან ახლოს ააფეთქა: შემთხვევის დროს, 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და 9 დაიჭრა. დაჭრილების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

გარდაცვლილები არიან: კაპრალები — თეიმურაზ ორთავაძე, გიორგი ადამოვი; რიგითები — ზურაბ გურგენაშვილი, მიხეილ ნარინდოშვილი, ბორის ცუგოშვილი, ზვიად სულხანიშვილი, გიორგი ღუჭაშვილი.

„ვერსია" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო, უსამძიმრებს მათ ოჯახებსა და სრულიად საქართველოს!

რას სთავაზობს განათლების სამინისტრო სტუდენტებს, საზაფხულო დასაქმების ნაცვლად

სტუდენტთა სტიპენდიებისთვის 3 500 000 ლარი გამოიყო, მასწავლებლების ხელფასი გაიზარდა

გვ. 11

სოზარ სუბარი თანამდებობას ტოვებს!

„ვერსიის" კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, სოზარ სუბარი თანამდებობიდან წასვლის შესახებ პრემიერს უკვე ესაუბრა, თუმცა ბიძინა ივანიშვილი პოსტიდან მის გათავისუფლებას არ ჩქარობს. „ჭიდაობენ, სუბარს მინისტრობა აღარ უნდა, პრემიერს კი მისი შემცვლელი ჯერ ნაპოვნი არ ჰყავს"...

გვ. 5

უკონტაქტო ბარათები თიბისი ბანკისგან!

თიბისი ბანკი TBC BANK

გვ. 5

რატომ შეიქმნა „ქართული გალობა" და ვის დააჯილდოებენ პირველ საზეიმო კონცერტზე, 11 ივნისს?

ანზორ ერქომაიშვილმა, ლექსო თორაძემ და ვანო ჩხარტიშვილმა ფონდი დააფუძნეს

გვ. 7

სამი სამინისტროს აღურიცხავი შემოსავლები და გამქრალი მილიონები

გვ. 3

პროკურატურა დიმიტრი შაშკინს, ანდრია ურუშაძესა და ზურა მელიქიშვილს დაკითხავს?

„საქართველოს ბანკს" EBRD-მა 23 მილიონი დოლარი გამოუყო!

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

გვ. 7

დაბინძურებული ხორცის ბუმი საქართველოს ბაზარზე

გვ. 12

ჯანმრთელობისთვის საშიში რა ბაქტერიები აღმოჩნდა ხორცის ნიმუშებში, რატომ უნდა აიკრძალოს ხორცით გარევაჭრობა და რა მიზნით ხვდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერაციის პრეზიდენტი მადონა კოიძე გენადი ონიშჩენკოს

პრეზიდენტმა 7 ივნისი გლოვის დღედ გამოაცხადა

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, 7 ივნისი გლოვის დღედ გამოცხადდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის პირველმა პირმა ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის გამო მიიღო, რომელსაც საქართველოს 6 სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა. გლოვის ნიშნად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო დროშები დაეშვება. პრეზიდენტმა გარდაცვლილების ოჯახის წევრებსა და სრულიად საქართველოს მიუსამძიმრა და აღნიშნა, რომ მისთვის ყველაზე მტკივნეულია, როცა საქართველოს მოქალაქეები, ქართველი ჯარისკაცების გარდაცვალების შესახებ ინფორმაციებს იღებენ.

ავღანეთში გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილმაც. სამძიმრის წერილი პრემიერმა „ფეისბუქის“ გვერდზე განათავსა: „უდიდესი მწუხარება მინდა გამოვთქვა იმ შემზარავი ტრაგედიის გამო, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს... ქედს ვიხრი ჩვენი დაღუპული გმირების წინაშე. სამძიმარს ვუცხადებ და თანავუგრძნობ მთელ საქართველოს, ვიზიარებ თითოეული ჯარისკაცის ოჯახის უდიდეს ტკივილს, რომელსაც ვერაფერი გაანელებს“.

საქალაქო სასამართლო პროკურორს სასამართლოს საქმიანობაში ირიბ ჩარევაში ადანაშაულებს

თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთ პროკურორს, ბაჩო ახალაიას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს საქმიანობაში ირიბ ჩარევაში ადანაშაულებს. უწყების ცნობით, 6 ივნისს, საქართველოს მთავარი პროკურატურის ერთ-ერთი პროკურორი დაუკავშირდა ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწეს: **„ბრალდების მხარის წარმომადგენელი დაინტერესდა აღნიშნულ საქმეზე მოსამართლის პოზიციით, კერძოდ, ხომ არ დაუფიქსირებია მოსამართლეს თავის აზრი საქმეზე, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა არასაკმარისობასა და სისუსტესთან დაკავშირებით. პროკურორი ასევე დაინტერესდა, საქმეზე გამომსვლელი პროკურორის კომპეტენციით, კერძოდ, რამდენად ართმევდა იგი თავს დაკისრებულ მოვალეობას.**

მთავარი პროკურატურის პროკურორმა თავისი დაინტერესება ახსნა გარემოებით — პროკურატურაში შევიდა ინფორმაცია, რომ სისხლის სამართლის აღნიშნულ საქმეს „უჭირდა“ და საქმეზე გამომსვლელი პროკურორი იყო სუსტი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორის მხრიდან მოსამართლესთან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, აღნიშნული ქმედება მიჩნეულია სასამართლოს საქმიანობაში არაპირდაპირ (ირიბ) ჩარევად: „სასამართლო ითვალისწინებს საზოგადოების მაღალ ინტერესს, თუმცა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ პირს, თავი შეიკავოს და სიფრთხილით მოეკიდოს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუშლის მართლმსაჯულების აღსრულებას“.

თენგიზ გუნავა საოლქო პროკურატურაში დაკითხეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ თენგიზ გუნავას საოლქო პროკურატურაში სამი საათის განმავლობაში კითხავდნენ, 2008 წელს გოჩა ეხვაიას ცემის ფაქტზე. გუნავას თქმით, ესაა შეთითხნილი ბრალდება და პოლიტიკური საქმიანობის გამო, მასზე ზეწოლა ხორციელდება.

გუნავას ინფორმაციით, მან დაკითხვის ოქმს ხელი არ მოაწერა, რადგან მასში მისი რამდენიმე მოსაზრება არ დაფიქსირდა. კერძოდ, გუბერნატორის თქმით, ოქმში არ შეიტანეს მისი წინადადება იმასთან დაკავშირებით, რომ დაკითხვა მასზე პოლიტიკური ზეწოლის მიზეზით ხორციელდება.

თენგიზ გუნავას განცხადებით, დაკითხვაზე შესაძლოამ იგი კვლავ დაიბარონ, თუმცა ამის გამო პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტას არ აპირებს.

„ინტერპრესნიუსი“

„ჯიჰადი“ საქართველოს შურისძიებით ემუქრება

Youtube-ზე გავრცელდა ვიდეო სახელწოდებით: „ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ“. ვიდეო ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მუქარას შეიცავს. მასში ქართველი ჯარისკაცებია ნაჩვენები. **„ავღანეთი ჩვენი მიწაა და ყველა, ვინც მის დაპყრობას შეეცადა, ალაჰისგან დაისაჯა. ახლა კი, ახალი ჯვაროსნები ჩამოვიდნენ საქართველოდან ჩვენი შვილებისა და ცოლების დასახოცად. ქვეყნის პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის დასახმარებლად გამოგზავნა ჯარები ავღანეთში. ჯიჰადი ქართველ ჯვაროსნებზე შურს იძიებს. ყოველდღე ჰელმანდში საშინელი სიკვდილით იხოცებიან ქართველი ჯვაროსნები და იგივე ბედი ელის ყველას, ვინც ჩვენს მიწაზე სისხლს ღვრის. ჩვენ ვიცით თქვენი სახელები, მისამართები, ნათესავები და მალე საქართველოში ჩამოვალთ! ჩვენ შურს ვიძიებთ!“,** — ნათქვამია ვიდეომიმართვაში, რომელიც Youtube-ზე 2 ივნისს დარეგისტრირებულ მომხმარებელ ამმად ძამან-ს ეკუთვნის.

ვიდეო მუქარას საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართაც შეიცავს და ხაზგასმულია, რომ შურისძიება მალე საქართველოშიც დაიწყება.

Youtube-ზე გავრცელებულ ვიდეოზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მოკვლევა დაიწყეს.

„თალიბების“ სახელით ინტერნეტში გავრცელებული ვიდეომასალის წარმომავლობის დადგენაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს, — ამის შესახებ თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, საზოგადოებას პანიკის საფუძველი არ აქვს: **„ჩვენი უსაფრთხოების სისტემა მაქსიმალურად მობილიზებულია. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა დადგინდეს ამ ჩანაწერის წარმომავლობა — ვინ განათავსა ინტერნეტში. ამის შემდეგ უფრო მეტი საფუძველი გვექნება ვისაუბროთ, საიდან მოდის ის და რამდენად რეალურად არსებობს საფრთხე ჩვენი ქვეყნის წინაშე“.**

თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, აღნიშნული ვიდეომასალის გავრცელება „გარკვეულ პროვოკაციულ“ ნიშნებს შეიცავდეს.

ჯიჰადის მუქარა რეალური არ ჰგონია პოლიტიკოსების უმრავლესობას. მათი თქმით, უსაფრთხოების ზომების მიღება შესაძლებელია, თუმცა აღშფოთების საფუძველი, ალბათ, არ გვაქვს. მით უმეტეს, რომ ექსპერტთა ნაწილმა უკვე მოიპოვა გარკვეული ინფორმაცია, რის საფუძველზეც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვიდეომასალა ფაბრიკაციაა. მაგალითად ის, რომ ვიდეოს ავტორს ჰამად ზამანს, საცხოვრებელ ადგილად მითითებული აქვს ქალაქი ჰერატი, რომელსაც სპარსულ ენაზე, სინამდვილეში, ჰქვია „ჰერაათ“, ბრუნვის ნიშანი „ი“ კი, ევრაზიის კონტინენტზე, მხოლოდ ქართულ ენასა და მეგრულ დიალექტში ემატება. გარდა ამისა, ვიდეოზე ინგლისურად მოსაუბრე პირს, არ აქვს არც ავღანური და არც პაკისტანური აქცენტი. საეჭვოა ისიც, თალიბანის მოძრაობას დამოუკიდებლად მოეპოვებინა ქართველი ჯარისკაცების ფოტოები...

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამაც თალიბების სახელით ქართველი ჯარისკაცებისა და პრეზიდენტისადმი მუქარის შემცველი ვიდეოს გავრცელებას ფაბრიკაცია უწოდა და სამართალდამცველ სტრუქტურებს ვიდეოს წარმომავლობის დადგენისკენ მოუწოდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ანდრო ბარნოვის თქმით: **„ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ თალიბები ამ ვიდეოს ვერ გააკეთებდნენ, თუმცა გვაქვს საფუძველი ვიეჭვოთ, რომ ეს ნამდვილად ფაბრიკაციაა და კლიპის წარმომავლობა არ არის „თალიბანი“. საბოლოო ჯამში, ეს ერთის მხრივ სამწუხაროა, მეორეს მხრივ — სასაცილო რეალობა, როდესაც მედიასპექტაკლებს დგამენ. ამის არავის ეშინია, საზოგადოება უნდა დაფიქრდეს, სინამდვილეში, რასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, ვართ იმ რეალობაში, სადაც ცდილობენ, ჩაგვინერგონ აზრი, რომ სასწრაფოდ ჩამოვცილდეთ დასავლეთს და ჩვენი გამოსავალი იზოლაციასა და მორჩილებაშია. სინამდვილეში, იზოლაცია და მორჩილებაა ის გზა, რომელიც დაასრულებს საქართველოს არსებობას. არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ვინმე დაგვიცავს იმ ქაოსისგან, რომელიც ამ ჩამოცილებას შეიძლება ქვეყანასა და, მთლიანად, რეგიონში მოჰყვეს და რისი ალბათობაც მაღალია. ჩვენ არ უნდა გავუჩინოთ ამ ბნელ ძალებს განცდა, რომ მათი დრო დადგა. ისინი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილსა და მხოლოდ ჩვენს მებრძოლებს კი არა, მთლიანად კაცობრიობას, მშვიდობას, ჩვენს იდეალიზმსა და ჩვენი ცხოვრების წესს ემუქრებიან, ამიტომ არ გვაქვს უფლება, მათ წინაშე ქედი მოვიხაროთ და შევუშინდეთ ამ სიბნელეს“.**

ბარნოვმა მოუწოდა საზოგადოებას, შეინარჩუნოს სიმშვიდე.

ნამდვილად ფაბრიკაციასთან გვაქვს თუ არა საქმე, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, მას შემდეგ, რაც შესაბამისი უწყებები მოკვლევას დაასრულებენ.

„ვერსიანიუსი“

„აგინე პუტინს“ — აქცია საქალაქო სასამართლოსთან

ახალგაზდული მოძრაობა „თავისუფალი ზონის“ ორგანიზებით, 6 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან აქცია „აგინე პუტინს“ გაიმართა.

5 ივნისს, პროფკავშირების კულტურის ცენტრთან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დაკავებულ „თავისუფალი ზონის“ ორ წარმომადგენელს — ლევან გოგოხიასა და ფარნაოზ ჭკადუას სასამართლომ ას-ას ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

ორგანიზაციის წევრები სწორედ ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევენ უსაფუძვლოდ. აცხადებენ, რომ მათ სასამართლომ ჯარიმა დააკისრა მხოლოდ ვლადიმერ პუტინის გინებისთვის და მათი დაკავების დროს სამართალდამცავებს მითითებებს ივანიშვილის დაცვის წევრი აძლევდა.

„თვისუფალი ზონის“ წევრებმა, პროტესტის ნიშნად, აქცია საქალაქო სასამართლოსთან გამართეს. ისინი ამბობენ, რომ პუტინს ყოველთვის ხმამაღლა შეაგინებენ.

„ინტერპრესნიუსი“

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ავტომანქანით რიონში გადაცვივდნენ

ხობიდან ფოთისკენ მიმავალი „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანა, რომელშიც დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ისხდნენ, მდინარე რიონში გადავარდა. ახალგაზრდებს სკოლის დამთავრება ბანკეტით უნდა აღენიშნათ. სამაშველო სამსახურის თანამშრომლების განცხადებით, ძლიერი დამუხრუჭების შემდეგ, მანქანა ხმელეთზე ორჯერ ამოტრიალდა, შემდეგ კი მდინარეში გადავარდა.

„საბედნიეროდ, მანქანაში მსხდომმა სამივე მოზარდმა, მდინარიდან ამოსვლა მოახერხა და არც ერთ მათგანს სერიოზული დაზიანება არ მიუღია“, — განაცხადა ფოთის სამაშველო სამსახურის უფროსმა თენგიზ ხაზალიამ.

„ინტერპრესნიუსი“

სამი სამინისტროს აღურიცხავი შემოსავლები და გამქრალი მილიონები



რამდენი მილიონით აზარალა ბიუჯეტი წამლების მონოპოლიამ, რატომ „დამალა“ 170-ათასიანი გრანტი განათლების სამინისტრომ და რატომ შეწირა 400 ათასი ლარი „რეალ ტვ“-ს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა

პროკურატურა დიმიტრი შაშვინს, ანდრია ურუშაძესა და ზურა მელიქიშვილს დაკითხავს?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ვერსიას“ დეპუტატმა კარლო კოპალიანმა „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის დასკვნა ექსკლუზიურად გადასცა! კომისია ნახევარი წლის განმავლობაში სწავლობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანუ კონტროლის პალატის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას. შედეგად, მომზადდა 160-გვერდიანი დასკვნა კონტროლის პალატის უკანონო მოქმედებებსა და სხვადასხვა უწყებებთან მიმართებაში დაშვებულ კანონდარღვევებზე. დასკვნას პარლამენტი პლენარულ სხდომაზე მომდევნო კვირას განიხილავს, თუმცა „ვერსიის“ მკითხველისთვის კომისიის მიერ აღმოჩენილი სკანდალური დეტალები დეპუტატების პრემიების შესახებ უკვე გახდა ცნობილი. ამჯერად, გთავაზობთ არანაკლებ სკანდალურ ინფორმაციას ახლა უკვე ნაციონალების დეპუტატ ლევან ბეჟაშვილსა და იმ უწყებებს შორის დანაშაულებრივ გარიგებაზე, რომლებიც კონტროლის პალატას 2012 წელს უნდა შეემოწმებინა. როგორც ჩანს, აუდიტის სამსახური 2011-2012 წლებში წინასაარჩევნო ბატალიებითა და „ოცნებასთან“ ბრძოლით იმდენად იყო დაკავებული, რომ საკუთარი უწყების მთავარი ფუნქცია — აუდიტორული შემოწმებები — დაივიწყა და შედეგმაც არ დაახანა — საპარლამენტო კომისია მოძიებული მასალების პროკურატურისთვის გადაცემას აპირებს და შესაბამისი უწყებებისგან სამართლებრივ რეაგირებას მოითხოვს!

კონტროლის პალატამ სოციალური სფეროს აუდიტი 2012 წელს მთელი რიგი კანონდარღვევებით ჩაატარა, თუმცა ამის მიუხედავად, ახალ გენაუდიტორს, ნაციონალ ლაშა თორდიას ანგარიში 2013 წლის 17 აპრილს დიდი ამბით ჩაბარდა. ამ წელს თორდიას აუდიტორებმა ჯანდაცვის, განათლებისა და დევნილების სამინისტროები შეამოწმეს. სამივე უწყების ბიუჯეტი 2 495 994 300 ლარს, მთლიანი ბიუჯეტის 31%-ს შეადგენდა. როგორც ირკვევა, კონტროლის პალატამ ჯანდაცვის სამინისტროში შეისწავლა 3 ყველაზე მსხვილი კლინიკა, სადაც ქირურგიული ოპერაციები ტარდება: „ღია გული“, „ჩაფიძის ცენტრი“ და „ჯოენის კლინიკა“.

გამოვლინდა ქირურგიულ ოპერაციებზე ფასების ხელოვნურად ზრდის ტენდენციები და მონოპოლისტური მიდგომა — მსხვილი კლინიკები სამკურნალო და სამედიცინო მასალებს მათთან დაკავშირებული კომპანიებისგან იძენდნენ, რის შედეგად, საშუალო ამონაგები თვითღირებულების 50-80%-ს შეადგენდა. ამ ყველაფრის შემდეგ, თავად კონტროლის პალატაც კი ასკვნის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა 3 მლნ ლარით იზარალა. სხვათა შორის, სამინისტროს აუდიტორული შემოწმების პერიოდი საეჭვოდ ემთხვევა ჯანდაცვის მინისტრის, ანდრია ურუშაძის ზურაბ ჭიაბერაშვილით ჩანაცვლებას და, ლევან ბეჟაშვილისა არ იყოს, რომელიც პარტიამ პარლამენტს შეაფარა, ანდრია ურუშაძეც ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატად მოგვევლინა საბურთალოს რაიონში!

„ოცნების“ „რესპუბლიკელი“ წევრის, ნოდარ ებანოიძის კომისიის დასკვნის მიხედვით, ასეთი დარღვევები აუცილებლად საჭიროებდა სამართლებრივ რეაგირებას — იგი, ცხადია, არც ერთ კანონდარღვევას არ მოჰყოლია!

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამებზე:

ქიმიოთერაპიული პრეპარატების შესყიდვებში დიდი ოდენობით არამიზნობრივი ხარჯები გამოვლინდა. ონკოლოგიის ცენტრმა 800 000 ლარის თვითღირებულების ქიმიოპრეპარატები 2 მილიონად შეისყიდა და მიმწოდებელ კომპანიას 1,1 მლნ ლარი ზედმეტად აუნაზღაურა! იმპორტირებულ ქიმიომედიკამენტებზე კი, შესყიდვის შემდეგ ფასები, საშუალოდ, 4-ჯერ გააძვირა!

არასახარბიელოა მდგომარეობა ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრშიც — ჯერ ერთი, მისი აუდიტორული შემოწმების ანგარიში 1,5 წლის დაგვიანებითაა დამტკიცებული და მეორე, კონტროლის პალატამ მას დიდი ოდენობით აღურიცხავი შემოსავლები აღმოუჩინა: 2008 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში — 258 432 ლარი, დაზღვეული პაციენტებისთვის გაწეულ მომსახურებაში — 32 320 ლარი, სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის შესრულებულ სამედიცინო მომსახურებაში — 90 545 ლარი. ასევე, ცენტრს არ აღურიცხავს 2009 წელს შიდა სტანდარტით გაწეული სამედიცინო მომსახურება 419 414 ლარის ოდენობით! შესრულებული სამუშაოს მიხედვით დასარიცხ და ფაქტობრივად დარიცხულ ხელფასებს შორის კი სხვაობა 359 011 ლარს შეადგენს. შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ ღუდუშაურის კლინიკამ საშემოსავლო 89 752 ლარი არ გადაიხადა!

უკეთესი ვითარება არც კონტროლის პალატისა და არც ნოდარ ებანოიძის კომისიის დასკვნის მიხედვით, არაა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში: მართალია, 2012 წლის 2 აგვისტოს დამტკიცებული დასკვნის ავტორი არ ჩანს, მაგრამ ამ უავტორო დასკვნითაც ირკვევა, რომ

განათლების სამინისტროს ბალანსზე 42 329 ლარის დაურეგისტრირებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული სასწავლებლების შენობა-ნაგებობები ირიცხება! მათ სარგებლობაში არსებული 65,6 ჰექტარი მიწა კი საერთოდ შეფასებული და ასახულიც არ არის, ხოლო სამინისტროს მიერ მიღებული 166 694 ათასი ლარის ოდენობის გრანტი ფინანსთა სამინისტროში არც დარეგისტრირებულა!

დასასრული მე-4 გვერდზე

პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების არქივის განადგურებაზე შსს გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს

საქართველოს შს მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ექსპერტების პოზიციით, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების არქივის განადგურება სწორი არ არის. ამის გამო, ამ დღეებში ექსპერტებთან კონსულტაციებიც იგეგმება და შსს-ს საბოლოო პოზიცია უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი: **„ექსპერტებმა გამოთქვეს აზრი იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, ეს არ იყოს სწორი და გამართლებული პოზიცია. ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ ექსპერტებთან გავმართოთ კონსულტაცია და საბოლოო პოზიციაზე შევჯერდეთ. ეს გარკვეულ პროცედურებს მოიცავს. შესაბამისად, ამას შეიძლება რამდენიმე დღე დასჭირდეს. ძალიან მალე წარმოვადგენთ საბოლოო პოზიციას, გავაკეთებთ დამატებით კომენტარებს“.**

კანონის თანახმად, პირის მაკომპრომეტირებელი მასალები დაუყოვნებლივ განადგურებას ექვემდებარება. კერძოდ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლში ნათქვამია: **„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაცია არ შეიძლება შენახულ იქნეს და უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ, რის შესახებაც ეცნობება იუსტიციის მინისტრს ან მთავარ პროკურორს, აგრეთვე სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყების ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს“.**

შსს-ს არქივში არსებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განადგურების თემას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, მასალების განადგურებას ჰყავს მოწინააღმდეგეები, ექსპერტთა და სფეროს სპეციალისტთა შორის, რომლებთანაც მას ამ თემაზე საუბარი ჰქონდა:

„განადგურების ერთ-ერთი პრინციპული მოწინააღმდეგე კახა კახიშვილია. შეიძლება ვნახოთ მეთოდი, მაგალითად, მასალები შეინახოს ისე, როგორც ბანკში ფული ინახება ან რამე მსგავსი. წვდომა ჰქონდეს რამდენიმე ორგანიზაციას... საბოლოო ჯამში, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ სირცხვილს თავი ავარიდოთ და პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელების ფაქტი საქართველოში აღარ განმეორდეს“.

ექსპერტის, კახა კახიშვილის აზრით, შსს-ს ხელში არსებული ფარული ჩანაწერების განადგურება, მოცემული მომენტისათვის დაუშვებელია. მისი თქმით, ეს ის მასალებია, რომლებიც ბოლო 9 წლის განმავლობაში შეგროვდა თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებით, შეგნებულად, შემდგომში ადამიანებზე მანიპულაციის მიზნით და წარმოადგენს მტკიცებულებას შსს-ს შესაბამისი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ.

კახიშვილის თქმით, ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხის დასმის გარეშე, მტკიცებულებების განადგურება შეუძლებელია. ექსპერტი ამბობს, რომ სანამ შსს-ს თანამშრომლების მიმართ არ შევა კანონიერ ძალაში სასამართლო გადაწყვეტილებები, მტკიცებულებების განადგურება არ შეიძლება.

სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის აზრით, არქივის განადგურების საკითხი მთავრობამ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად უნდა გადაწყვიტოს: **„სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით ამ თემაზე მიმდინარეობს დისკუსია და ორი მოსაზრებაა: ეს ჩანაწერები განადგურდეს თუ გარკვეული დროით შეინახოს თუნდაც იმისთვის, რომ დადგინდეს, ვინ აწარმოებდა ამ ჩანაწერებს და რამდენად კანონიერი იყო. თუ გვინდა, მომავალში აღარ განხორციელდეს მსგავსი ჩანაწერების გაკეთება, პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც ამას აკეთებდა. თუნდაც ამისთვის, ჩანაწერები გარკვეული დროით შევინახოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, საკითხის არა ერთპიროვნულად, არამედ საზოგადოებასთან ერთად გადაწყვეტას ვაპირებთ“.**

„ვერსიანიუსი“

ევროპარლამენტარები საქართველოში ვიზიტის შესახებ

საქართველოში, 3-4 ივნისს ვიზიტით მყოფი ევროპარლამენტარები მიესალმებიან ქვეყანაში, რიგ სფეროებში მიღწეულ პროგრესს, თუმცა ამავდროულად, შეშფოთებას გამოთქვამენ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. ამის შესახებ განცხადება ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა, სადაც ვკითხულობთ: **„ვაღიარებთ, საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარება ღირებული დემოკრატიული პრეცედენტია აღმოსავლეთ პარტნიორობის ამ ქვეყანაში. ასევე მივესალმებით ევროპული მიმართულების სასარგებლოდ მიღწეულ ფართო კონსენსუსსაც. ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად უნდა დარჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის რეფორმა. ამავდროულად, გვჯერა, რომ სამართლიანობის მოთხოვნა კანონის უზენაესობის, სამართლიანი პროცესებისა და უკანონობასთან ბრძოლის ფარგლებში იქნება მიღწეული, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებების ბრალდება“.**

გავრცელებულ განცხადებაში ევროპარლამენტარები ასევე გმობენ 17 მაისს, თბილისში, ჰომოფობიის საერთაშორისო დღეს აქციის ძალადობრივად დაშლას: **„ჩვენ ვგმობთ იმ ძალადობას, რომელიც ორივე მხარის – ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან იყო გამოვლენილი. შეშფოთებულები ვართ სექსუალური უმცირესობებისა და დაუცველი ჯგუფების წინააღმდეგ გამოვლენილი სიძულვილის ენით. მოვუწოდებთ ქართველ პოლიტიკოსებს, ევროპული სტანდარტების დაცვით იმუშაონ სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ველით მსგავსი ქმედებების ჩამდენი დამნაშავეების დასჯას... მიგვაჩნია, რომ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები ქართული დემოკრატიის მომწიფების ტესტი იქნება. შეგახსენებთ, რომ კონსტრუქციული, მშვიდობიანი და დიალექტიკური კოჰაბიტაცია დემოკრატიის ნიშანია. ევროპარლამენტი კვლავაც რჩება საქართველოსა და ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების ძლიერი მხარდამჭერი და მზადაა, დახმარება გაუწიოს საქართველოს დემოკრატიზაციისა და მოდერნიზაციის გზაზე“,** — ნათქვამია ევროპარლამენტარების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

თეა წულუკიანი The Washington Post-ს წერილს უგზავნის

საქართველო ვერ დახუჭავს თვალს კანონდარღვევებზე, — ამ სათაურით უგზავნის საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი წერილს The Washington Post-ის სარედაქციო საბჭოს. მინისტრის წერილს, „ვაშინგტონ პოსტი“ აქვეყნებს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი საპასუხო წერილში აღნიშნავს, რომ „ვაშინგტონ პოსტში“ წინა კვირაში გამოქვეყნებულ სტატიაში — „საქართველოს დემოკრატია საფრთხეშია“, მნიშვნელოვანი ფაქტები და გარემოებებია გამორჩენილი: **„პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობისას კანონის უზენაესობა ირღვეოდა, რაზეც კითხვები ჰქონდათ აშშ-ს, ევროკავშირს, გაერო-სა და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რის გამოც დაკეტილი იყო ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობისკენ მიმავალი გზა... ქვეყანა, რომელიც იმართება კანონის უზენაესობით, თვალს ვერ დახუჭავს თანამდებობის პირების მიერ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვასა და ნებისმიერ მთავრობის მაღალჩინოსანთა მხრიდან გამოვლენილ ძალადობაზე“.**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი ხაზს უსვამს, რომ ყოველივე ამის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო პროცესის წარმოება ყველას მიმართ: **„ახალმა ხელისუფლებამ გაათავისუფლა სასამართლო პოლიტიკური ზეწოლისგან, ამკვიდრებს ბრალდებულთა ახალ უფლებას, ისარგებლონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი და აღებს სასამართლო დარბაზის კარს მედიისთვის... ვიწვევთ „ვაშინგტონ პოსტს“, რათა დააკვირდეთ სასამართლო პროცესებს და ადგილზე გაეცნოთ ფაქტებს დასკვნების გამოსატანად“.**

„ინტერპრესნიუსი“

სამი სამინისტროს აღურიცხავი შემოსავლები და გამქრალი მილიონები



მე-3 გვერდიდან

საყურადღებოა დასკვნაში ასახული მასალები სოფლის მეურნეობის სამინისტროზეც. რამდენიმე პროგრამა და ხელშეკრულება სამართლებრივ რეაგირებასაც მოითხოვს. ასეთია ხორბლის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში, სამინისტროს მილიონნახევარი დოლარის ხორბლის არასერტიფიცირებული თესლი შეუძენია. ცნობილი ჰიბრიდული სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიხედვით სამინისტრომ შეისყიდა 98%-ით მეტი ფართობი, ვიდრე სიმინდის დათესვას ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, შემოიტანეს იმაზე ბევრად მეტი სათესლე მასალა, ვიდრე გამოკითხვებით დადგინდა, რომ გაიყიდებოდა. საბოლოო ჯამში, 2011 წელს სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საშუალოდ, მიღებული მოსავალი 2,9 ტონას არ აღემატებოდა, რაც წინა წლებში მიღებული მოსავლის 53%-ია.

კონტროლის პალატის ანგარიშის თანახმად, 2012 წელს დასრულებული აუდიტების მიხედვით, ნაჩვენებია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროც. სხვათა შორის, მანამდე კულტურის სამინისტრო არც ერთ სააუდიტო დეპარტამენტს არ უხსენებია თავის ანგარიშებში და არც საკურატორო სფეროებში აქვთ მითითებული. მეტიც, სამინისტროს შემოწმების მასალები, ოღონდ უკვე 2013 წელს, კომისიის მუშაობის პერიოდში, პროკურატურაზეა გადაცემული, თუმცა მისივე მოთხოვნით.

საპარლამენტო კომისიას არც დედაქალაქისა და ადგილობრივ თვითმმართველობათა აუდიტორული შემოწმების შედეგები დავიწყებია. კონტროლის პალატის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მის მიერ შესამოწმებელ ობიექტებს საქართველოს 54 მუნიციპალიტეტი და 4 თვითმმართველი ქალაქი, თბილისი, ქუთაისი, ფოთი და რუსთავი წარმოადგენს, თუმცა ანგარიში მთელ რიგ არასწორ ინფორმაციას შეიცავს. კონტროლის პალატის მტკიცებით, 2012 წელს მათ, ჯამურად, 234 434 100 ლარის ბიუჯეტის მქონე ერთეულები შეამოწმეს, რაც რეალობას არ შეესაბამება. ჯერ ერთი, კონტროლის პალატის მიერ 2012 წელს შემოწმებული ობიექტების სიაში ისეთი 7 ობიექტიცაა, რომლებიც არა 2012, არამედ 2011 წელს შემოწმდა. ეს 7 ობიექტი ყველასთვის კარგად ნაცნობი პროექტებია, რომელთა ნაწილმაც, სხვათა შორის, შესაძლოა, გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება დააჩქაროს: 1. თბილისის საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებები, რაც 36 210 000 ლარი დაჯდა; 2. თბილისის გარეგანათების ღონისძიებები (105 318 000 ლარი); 3. ქუთაისის გარეგანათებისა და საახალწლო ქალაქგაფორმების ღონისძიებები (57 030 ლარი); 4. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აუდიტი (14 300 ლარი); 5. ზუგდიდის 1 საჯარო სკოლის ფინანსური აუდიტი (920 000 ლარი); 6. ფოთის 5 საჯარო სკოლის ფინანსური აუდიტი (935 100 ლარი); 7. ქუთაისის 2 საჯარო სკოლის ფინანსური აუდიტი (824 800 ლარი). ამ ობიექტებიდან ნაწილზე, წარმოდგენილ აუდიტის ანგარიშებში არ არის მითითებული შემოწმებათა დაწყება-დასრულების ვადები და, რაც მთავარია, შვიდივე ობიექტი, როგორც 2011 წელს ჩატარებული, ისე ფიგურირებს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისადმი გაგზავნილ ინფორმაციაში. თანაც, ამ ანგარიშებიდან მხოლოდ ერთია დამტკიცებული, ქუთაისის გარეგანათებისა და საახალწლო ქალაქგაფორმების ღონისძიებების თანხა, ისიც 2013 წლის 6 მარტს, დანარჩენები კი დამტკიცებულიც არ არის! კონტროლის პალატის მიერ დაუმტკიცებლობის მოტივი ისაა, რომ ანგარიშები გაცილებით ადრეა შედგენილი, ამჟამად კი, უწყებაში იგივე აუდიტორები აღარ მუშაობენ, ამიტომ წინა პერიოდში სხვის ნამუშევარზე პასუხისმგებლობის არავინ იღებს. შესაბამისად, კონტროლის პალატაში არავინ აგებს პასუხს თბილისის საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებული ქალაქგაფორმების ღონისძიებებსა და თბილისის გარეგანათებაზე, რისთვის დანახარჯიც, ჯამში, 141 528 000 ლარს შეადგენს! ამით დარღვეულია რეგლამენტის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგების შესახებ დგება აქტი ან ცნობა. მას ძალა მხოლოდ აუდიტის დასრულების შემთხვევაში აქვს, როცა ხელს დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე აწერს.

რადგან აქტები არც დამტკიცებულია, არც ხელმოწერილი, გამოდის, კონტროლის პალატამ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს იურიდიული ძალის არმქონე ანგარიშები გადაუგზავნა, რაც ლევან ბეჟაშვილისა და იმ დროისთვის პარლამენტში ამ თანამდებობაზე მომუშავე ნაციონალ ზურაბ მელიქიშვილის პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს! გარდა ამისა, აუდიტის სამსახურის ანგარიშით, შვიდივე ობიექტის ბიუჯეტი შეადგენს 164 210 900 ლარს. თავად კონტროლის პალატის დეპარტამენტის ანგარიშის დასაწყისში კი ნათქვამია, რომ 2012 წელს სულ აუდირებულ იქნა 234 000 000 ლარი! უკეთეს შემთხვევაში, აუდირებული 70 მილიონი გამოდის, რაც ანგარიშში ნაჩვენებ თანხასთან შედარებით, 70%-ით ნაკლებია! ამგვარად აორთქლდა კონტროლის პალატიდან პარლამენტამდე 69 მილიონი ლარზე მეტი.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალია საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმების ანგარიში, რომელიც 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე შესამოწმებელ პერიოდს მოიცავს. სხვებისგან განსხვავებით, ეს ანგარიში დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ალექსანდრე არაყიშვილის მიერ 2012 წლის 30 აპრილსაა დამტკიცებული. დასკვნაში ისეთ ფაქტებზეა საუბარი, რაც აუცილებლად მოითხოვდა სამართლებრივ რეაგირებას, თუმცა პოლიტიკურ ბატალიებში ჩართული საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის ფინანსური დარღვევების გამო, პასუხი არავის მოუთხოვია. ამის მიუხედავად, დასკვნაში საუბარია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაწეულ არამიზნობრივ ხარჯზე და მითითებულია, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 13 300 000 ათასი ლარიდან, 385 500 ათასი ლარი მაუწყებელმა საკუთარი შეხედულებისამებრ დახარჯა. ეს „საკუთარი შეხედულება“ კი იყო არა პირველადი მიზნები ტელევიზიისთვის, არამედ მესამე არხის ანუ ყოფილი „რეალ-TV“-ს ფუნქციონირება.

გამოდის, 385 500 ლარი გადასახადების გადამხდელების ანუ ჩვენი ჯიბიდან, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „რეალ-TV“-ს შეწირა!

ამ მასალებითაც ჩანს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში საქმე კანონდარღვევებთან გვაქვს. ნოდარ ებანოიძის დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაშიც გარკვევითაა ნათქვამი, რომ ზოგადად, აუდიტის ინსტიტუტთან დაკავშირებული დარღვევები სამართალდამცავი ორგანოების სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. კომისია კონტროლის პალატის საქმიანობას არათუ დადებითად, არამედ დამაკმაყოფილებლად ვერ აფასებს. მიუხედავად იმისა, რომ დროებით კომისიაში რამდენიმე ნაციონალი პარლამენტარიც იყო გაწევრიანებული, დასკვნაში პოლიტიკური აქცენტები მოზომილად მაინცაა გაკეთებული: ჯერ იყო და, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა თორდია 2012 წლის 23 ივლისამდე ნაციონალების დეპუტატი იყო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. კონტროლის პალატის ექსთავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და მისი მოადგილე თინათინ ბოკუჩავა კი თანამდებობებიდან არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის სიით მონაწილეობის მისაღებად გადადგნენ. მოხდა ისე, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, საოლქო-საარჩევნო კომისიების ტრენერების ნაწილი კონტროლის პალატის თანამშრომლებით დაკომპლექტდა. მათ შორის, კონტროლის პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ივანე პეტრიაშვილი, სრულიად შემთხვევით, სიღნაღის რაიონში მოახვედრეს, სადაც მაჟორიტარად კენჭს მისი ყოფილი ზემდგომი, ლევან ბეჟაშვილი იყრიდა!

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კომისიის 160-გვერდიანი დასკვნის ბოლოს შემდეგია ნათქვამი: **„კომისიის დასკვნა და შესაბამისი დანართები, დასკვნაში ასახული კანონდარღვევების სამართლებრივი შეფასების მიზნით, უფლებამოსილების მიხედვით, განხილვისა და რეაგირებისთვის, წარედგინოს საქართველოს მთავარ პროკურატურას!“**

ეროსუდან შელია
557-100-768

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი თანამდებობიდან წასვლის შესახებ პრემიერ-მინისტრს უკვე ესაუბრა, თუმცა ბიძინა ივანიშვილი სუბარის პოსტიდან გათავისუფლებას არ ჩქარობს. „ჭიდაობენ, სუბარს მინისტრობა აღარ უნდა, პრემიერს კი მისი შემცვლელი ჯერ ნაპოვნი არ ჰყავს“, — აცხადებს წყარო. როდის დატოვებს მინისტრის თანამდებობას და რა მოხდა რეალურად, პატიმარ ლევან კორტავას შემთხვევაში? „ვერსიას“ სოზარ სუბარი ესაუბრა.

სოზარ სუბარი თანამდებობას ტოვებს!

— პატიმარ ლევან კორტავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სრული ინფორმაცია მალე გამოქვეყნდება. ამ საკითხზე გენერალურ პროკურორთანაც ინტენსიურად ვსაუბრობ... უბრალოდ, ექსპერტიზის დასკვნას ველოდებით, კორტავას საქმის ირგვლივ კითხვები რომ ამოვწურეთ, დეტალურად მოვყვები, როგორ გაიპარა შეცდომა და რატომ დაგროვდა ჩვენი მისამართით ამდენი კითხვა: ციხეში ინციდენტი 12 მაისს მოხდა, მეორე დღესვე უკვე ვიცოდით სავარაუდო სურათი. მით უმეტეს, ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ პატიმარი კიბიდან დაგორების შედეგად არ გარდაცვლილა. რამდენადაც ვიცი, ლევან კორტავას სამედიცინო მომსახურებაც სწრაფად აღმოუჩინეს, თუმცა, სამწუხაროდ, იგი 23 მაისს გარდაიცვალა. ამასობაში, პრესცენტრის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიიღო განცხადება, რომ ლევან კორტავას კიბეზე ფეხი დაუცურდა და საფეხურებზე მრავალჯერადი დაცემის შედეგად, განსაკუთრებით, თავის არეში, მძიმე დაზიანებები მიიღო. დიახ, ეს არასწორი ინფორმაცია იყო, რომლის გასწორებაც სასწრაფოდ მოვითხოვე.

— **მსგავს ინფორმაციებს ნაციონალური მოძრაობა ავრცელებდა. თუნდაც ხაშურის ინციდენტი გაიხსენეთ, როცა პოლიციაში სასიკვდილოდ ნაცემ ადამიანზე ითქვა, კიბიდან დაგორების შედეგად გარდაიცვალაო.**

— ნაციონალები დღემდე ამბობენ, რომ ის ადამიანი კიბიდან დაგორების შედეგად გარდაიცვალა, ჩვენ კი ტყუილზე მაშინვე დავიწყეთ ხმამაღლა საუბარი. სხვათა შორის, აჟიოტაჟი სწორედ იმიტომ ატყდა, რომ პირველი ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სამინისტრომ პოზიცია შეცვალა, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდით. ის ადამიანი, რომელმაც პრესცენტრს არასწორი ინფორმაცია მოაწოდა, თანამდებობიდან გავათავისუფლეთ და კადრების განყოფილებაში გადავიყვანეთ. ვიცი, რეალურად რაც მოხდა, მაგრამ გამოძიების დასრულებამდე ვერ ვისაუბრებ, რადგან ვაღიარებ, ინციდენტი ჩვენ სისტემაში დაფიქსირდა და საზოგადოებაში ჩემ მიმართ უნდობლობაც დიდია. სამწუხაროდ, მსგავს ფაქტებს პენიტენციალურ სისტემაში ვერ გავექცევით, რადგან ციხეებში სხვადასხვა რანგის დამნაშავეები იხდიან სასჯელს. არავის ეგონოს, ამ მხრივ საქართველო გამონაკლისია. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პენიტენციალურ სისტემაში 2012 წელს 60 თვითმკვლელობა და სხეულის დაზიანების 23 ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

— **სხვა სახელმწიფოების მაგალითი არ არის ის არგუმენტი, რომელიც დღეს თუნდაც ლევან კორტავას ოჯახს დაამშვიდებს. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ ციხეებში დაფიქსირებული არაადამიანური შემთხვევები გახდა. დღეს თქვენ წილ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობთ?**

— ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები იმიტომ წააგო, რომ ადამიანებს ცოცხებითა და ხელჯოხებით აწამებდა, ავადმყოფებს არ მკურნალობდა და ათასობით ადამიანი დააინვალიდა. რამდენიმე დღის წინ ჯარშიც დაფიქსირდა თვითმკვლელობის შემთხვევა, მოსწავლეებმაც დაჭრეს ერთმანეთი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მინისტრი მოსწავლეებს მიზანმიმართულად აქეზებს იარაღის გამოყენებაში. მთავარია, ფაქტის დაფიქსირებისთანავე, საქმე გამოვიძიოთ და დამნაშავეებიც სათანადოდ, კანონის შესაბამისად დავსაჯოთ. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ადამიანზე გული შემტკივა. როცა სრულიად უცნობი ადამიანის გარდაცვალების შესახებ ვიგებ, მაქვს განცდა, რომ რაღაც დამაკლდა. სხვა რა პასუხისმგებლობაზე უნდა ვისაუბროთ, სისხლისსამართლებრივზე?

— **ადრე, მსგავსი შემთხვევებისას, კოალიციის მხარდამჭერები, მათ შორის, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, მინიმუმ, მინისტრის გადადგომას ითხოვდნენ. დღეს კი ისინი ხმას არ იღებენ. რატომ, თქვენ გეპატიებათ?**

— კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ დიდ ბრიტანეთში, დღეში, ასეულობით მსგავსი შემთხვევა ფიქსირდება, მაგრამ ყველას დაფიქსირებისას მინისტრი თანამდებობიდან ხომ ვერ გადადგება? ნაციონალები პატიმრებს თვითონ აწამებდნენ და ფაქტებსაც საგულდაგულოდ მალავდნენ. თუ მსგავსი რამ გაგრძელდება, გეთანხმებით, მინისტრის კი არა, მთელი მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, მაგრამ ჩვენ ეს მიმართულება არ აგვირჩევია. თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღიდან ვამბობდი, რომ ამ სისტემაში ჩხუბს ან მსგავს ინციდენტებს ვერასოდეს გამოვრიცხავ, მაგრამ დამნაშავეები მალევე დაისჯებიან. სხვათა შორის, მაინტერესებს, რა არის საზოგადოების დაკვეთა — ციხეებში დისციპლინა და მკაცრი რეჟიმი გვქონდეს თუ ადმინისტრაციის ძალადობა აღვკვეთოთ?

— **ციხეებში „დუბინკების“ გარეშე დისციპლინის დამყარება მიუღწეველია... აღნიშნეთ, ბაჩო ახალაიას მეთოდების გარეშე ამხელა სისტემის კონტროლი შეუძლებელია, ჩვენ კი ეს მეთოდი არ გვინდაო. თქვენ რა მეთოდი გაქვთ შემუშავებული?**

— ხშირად, დისციპლინა სწორედ უკანონო ქმედებაში მხილებული ადამიანის კანონიერად დასჯას გულისხმობს. რაც შეეხება ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, ეს აბსოლუტურად კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა იყო. როცა ბარაკის ტიპის დაწესებულებაში, გეგუთის ციხეში, ოთხი ათასი პატიმარი იხდის სასჯელს და ერთ დიდ ოთახში 600 პატიმარს ერთად სძინავს, სრული კონტროლი წარმოუდგენელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ციხეს 6 ჰექტარი ტერიტორია აქვს, სადაც მთელი დღის განმავლობაში ოთხი ათასი პატიმარი სეირნობს.

დასასრული მე-6 გვერდზე

უკონტაქტო ბარათები თიბისი ბანკისგან!

ვისაც სურს, დაზოგოს დრო და გაიმარტივოს სასურველი ნივთისა თუ მომსახურების შეძენა, დღეიდან შეუძლია, ისარგებლოს თიბისი ბანკის უკონტაქტო ბარათებით!

ამიერიდან, თიბისი ბანკის ნებისმიერი ვიზა ბარათი — საკრედიტო ან სადებეტო, შეგიძლიათ, აქციოთ თქვენთვის ყველაზე კომფორტულ, უკონტაქტო ბარათად!

საჭიროა მხოლოდ ტერმინალზე ბარათის მიახლოება და სასურველი ნივთი თქვენს ხელშია.

ამისთვის, თქვენი ვიზა ბარათი, რომელსაც ყველაზე ხშირად იყენებთ შოპინგისას, უნდა განაახლოთ თიბისი ბანკში, რაც მოგცემთ საშუალებას, ყველაზე მარტივად, კომფორტულად და სწრაფად განახორციელოთ გადახდა ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში.

უკონტაქტო ბარათების ღირებულება ბარათების არსებული ღირებულების ანალოგიურია.

გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ გადახდის უკონტაქტო ფორმა არის სამჯერ უფრო სწრაფი, ვიდრე ჩვეულებრივი, ტრადიციული ფორმა. ამასთან, თქვენი უკონტაქტო ბარათი გაცილებით დაცულია, ვიდრე სხვა ნებისმიერი ტიპის ბარათი, ვინაიდან მასთან კონტაქტი მხოლოდ თქვენ გაქვთ!

გადახდის სქემა შემდეგნაირია: მოლარე კრეფს გადასახდელი თანხის ოდენობას ტერმინალზე, რის შემდეგაც თქვენ გჭირდებათ ტერმინალთან ბარათის მხოლოდ მიახლოება.

თუ თქვენს მიერ დახარჯული თანხა 45 ლარს აღემატება, დაგჭირდებათ მხოლოდ პინ-კოდის მითითება ტერმინალზე. უკონტაქტო ბარათით გადახდა შესაძლებელია 700-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში.

ისარგებლეთ თიბისი ბანკის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი უკონტაქტო ბარათებით.

გახსოვდეთ, რომ უკონტაქტო ბარათები დაზოგავს თქვენს დროს და გაგიმარტივებთ ცხოვრებას — უკონტაქტო გადახდა გადახდის თანამედროვე ფორმაა!

ახალი მთავრობა ყაზახური გაზის ალტერნატივის მოლოდინში

მიიღებს თუ არა საქართველო იაფ გაზს და რის ფასად მოუწევს ივანიშვილის ხელისუფლებას რუსეთ „გაზპრომთან“ თანამშრომლობა

მირიან ლეგანიძე

„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ყაზახური მხარისთვის დაბრუნება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ საქართველო ყაზახური გაზის იმპორტს აუცილებლად განახორციელებს. ეს შემდგომი მოლაპარაკებების საგანია ისევე, როგორც მისი მოცულობა და ფასი“, — აცხადებენ ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

თუმცა მაისის ბოლოს, ასტანაში ვიზიტის შემდეგ, ენერგეტიკის მინისტრმა მედიას ამცნო, რომ კომპანიის ძველი მფლობელებისთვის გადაცემა ყაზახური ინვესტიციების მოზიდვისა და გაზის იმპორტის იმედს იძლევა. მომავალ კვირას საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ყაზახეთს ეწვევა, რათა განამტკიცოს კალაძის მიერ მიღწეული შეთანხმება. ყაზახეთიდან ბუნებრივი აირის შემოტანის შემთხვევაში, კალაძე შეასრულებს დაპირებას გაზის იმპორტის წყაროების დივერსიფიკაციის თაობაზე, რათა ქვეყანა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე და პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ტექნიკური პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში, გაზმომარაგებას საფრთხე არ შეექმნას. დივერსიფიკაცია ასევე ნიშნავს იმპორტიორებს შორის კონკურენციასა და საქონელზე ჯანსაღი ფასის ფორმირებას.

ბუნებრივ აირთან დაკავშირებით, მოსახლეობისთვის მეტად საინტერესოა ფასი და ნაკლებად — პოლიტიკური და ეკონომიკური ხლართები. ანალოგიურად, მმართველი პარტიისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს წინასაარჩევნო დაპირების შესრულება გაზის გაიაფებასთან დაკავშირებით. სწორედ აქ ჩნდება კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი ბუნებრივი აირის იმპორტის დამატებითი წყაროების პოვნა მაქსიმუმ, აზერბაიჯანული გაზის ფასად.

საინტერესოა, რომ ბუნებრივი აირის ფასს, წინა ხელისუფლების მსგავსად, ახალიც საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს. ასე უფრო ადვილია, დაარწმუნო ხალხი, რომ კომუნალური გადასახადები „შეღავათიანია“.

„აზერბაიჯანული გაზის ფასი, ხელშეკრულების თანახმად, კომერციული საიდუმლოებაა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გაზის ფასი ჩვენთვის საკმაოდ კარგია. საქართველო წელიწადში 2 მლრდ კბმ გაზს იღებს, „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ კი — 500 მლნ კბმ-ს“, — აცხადებს კახა კალაძე.

რამდენიმე დღით ადრე, პრემიერ-მინისტრს „წამოსცდა“, რომ საქართველო აზერბაიჯანიდან ბუნებრივ აირს 145 დოლარად ყიდულობს. იანვარში კი, კალაძემ აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდს“ 186 დოლარი დაუსახელა. აზერბაიჯანული წყაროების მონაცემებით, საქართველოსთვის ბუნებრივი აირის საზღაური 160-200 დოლარია. ამდენად, საქართველომ ყაზახეთიდან გაზი, მაქსიმუმ, ამ ფასად უნდა შეიძინოს. იმ ფონზე, რაც დღეისთვის ყაზახური ბუნებრივი აირის ირგვლივ ხდება, ეს ნაკლებად სარწმუნოდ ჩანს: ყაზახეთი, რომელიც რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე და „გაზპრომის“ საიმედო პარტნიორია, მოსკოვს ბუნებრივი აირის ფასზე ევაჭრება და 2015 წლიდან ექსპორტის შეწყვეტით ემუქრება.

დღეს ყაზახეთი რუსეთს წელიწადში 7 მლრდ კბმ გაზს აწვდის, საიდანაც 4,5 მლრდ უკანვე უბრუნდება, რომელსაც ქვეყნის სამხრეთ რეგიონების უზრუნველსაყოფად იყენებს. დანარჩენ 2,5 მლრდ კბმ ბუნებრივ აირს რუსეთი 200 დოლარად ყიდულობს. ყაზახეთი რუსეთისგან 1000 კუბმეტრ გაზზე ითხოვს მინიმუმ 100 დოლარის დამატებას, ანუ რამდენსაც რუსეთი თურქმენეთსა და უზბეკეთს უხდის. თუკი ყაზახეთი რუსეთისგან 300 დოლარს არ მიიღებს, გაზს ჩინეთს მიაწვდის, იქ კი ასტანას, თურქმენეთივით, 390 დოლარის მიღების იმედი აქვს.

შესაძლოა, ყაზახეთან მოლაპარაკების ალტერნატიული გზა არსებობს: „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ძველი მეპატრონისთვის დაბრუნება ასევე ძველი პირობებით, როცა „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ბუნებრივ აირს აზერბაიჯანიდან ყიდულობდა. ამ სქემას, ალბათ „დივერსიფიკაცია“ არ შეიძლება ეწოდოს.

უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც კასპიის გაზის მომპოვებელმა ქვეყნებმა ახალი კავშირები გააბეს და ბუნებრივი აირის გასაღების ალტერნატიული გზები იპოვეს, სულ უფრო რთულია იაფი იმპორტიორის პოვნა. ბაზარზე ვითარება იმდენად გართულდა, რომ დღეს უკვე „გაზპრომსაც“ ექმნება პრობლემები როგორც ფასთან, ასევე ევროპისთვის საკმარისი ოდენობის ბუნებრივი აირის მოპოვებასთან დაკავშირებით.

შარშან, შემოდგომაზე, რუსეთმა შეძლო აღმოსავლეთ ევროპასთან „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობაზე შეთანხმება. ამას მოჰყვა „ნაბუკოს“ პროექტიდან გერმანელი პარტნიორის გამოთიშვა, რითაც მოსკოვმა სტრატეგიული მიზანი განახორციელა: მან კონკურენტი ჩამოიცილა და ევროპის ბაზარზე კვლავ მთავარ მოთამაშედ დარჩა. „ნაბუკოს“ პროექტის ჩავარდნა სერიოზული დარტყმა იყო აზერბაიჯანისთვის, ასევე, თურქეთისა და საქართველოს ინტერესებისთვისაც. მოსკოვი დღემდე ევაჭრება ბაქოს, რათა მან ევროპას გაზი „გაზპრომის“ მეშვეობით მიაწოდოს.

მნიშვნელოვანია, რომ „სამხრეთის ნაკადი“ რუსეთიდან შავი ზღვის ფსკერზე გაივლის და გვერდს აუქცევს პრობლემურ უკრაინას. მოსკოვმა ამავე სქემით ისარგებლა „ჩრდილოეთ ნაკადის“ მშენებლობისას, როცა გაზსადენი ბალტიის ზღვის ფსკერზე პოლონეთის გვერდის ავლით გაიყვანა. „სამხრეთის ნაკადის“ გაზით შევსებას მოსკოვი თურქმენული აირით აპირებდა. წლების განმავლობაში ბუნებრივი აირის მარაგის შესახებ ინფორმაცია თურქმენეთის ხელისუფლების მთავარი საიდუმლო იყო. ერთადერთ ცნობას იძლეოდა ბრიტანული Gaffney, Cline & Associates-ის ექსპერტიზა, სადაც 71 ტრილიონი ტონა ეწერა, თუმცა ცოტა ხნის წინ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ეს ციფრი მრავალჯერ გაბერილია და თანაც, თურქმენეთის გაზის ყველა საბადოს უკვე ჩინელები აკონტროლებენ.

როგორც Foreign Policy-ის ანალიტიკოსები წერდნენ, მოსკოვის იმედი „ენერგეტიკული ზესახელმწიფოს“ შექმნის თაობაზე იმსხვრევა. ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე ფიქლის გაზის გამოჩენამ ბუნებრივ აირზე ფასის ვარდნა განაპირობა. ევროპა რუსეთს მომგებიან პირობებზე უფრო და უფრო აქტიურად ევაჭრება. ევროპაში კარგად ახსოვთ, რომ რუსეთი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, კასპიის რეგიონში შეძენილ გაზს მათ ოთხჯერ ძვირად სთავაზობდა. მას შემდეგ, რაც ბაზარზე დამოუკიდებლობა მოიპოვეს აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა, რუსეთს ევროპისთვის საკუთარი ნების თავზე მოხვევა სულ უფრო უჭირს. ახლა „გაზპრომი“ ევროპის ბაზრის შესანარჩუნებლად მორიგ დიდ სეილს აწყობს და 1000 კუბმეტრს 370 დოლარად სთავაზობს.

თუმცა ევროპის ბაზარზე სირთულეების მიუხედავად, მოსკოვი ყოფილ საბჭოთა კავშირში გაზის თემატიკით პოლიტიკური მიზნების მიღწევას ჯერაც ახერხებს. გასულ კვირას რუსეთმა „გაზპრომის“ მეშვეობით სომხეთზე გამარჯვება იზეიმა: იგი რუსეთ-ბელორუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას დათანხმდა და, როგორც ჩანს, რუსული გაზის გაძვირებას გადაურჩა. სომეხი პოლიტიკოსები ცნობას, რომ რუსული გაზის ფასი 189 დოლარიდან 270-მდე უნდა გაიზარდოს, მოსკოვის პოლიტიკურ წნეხს უკავშირებდნენ.

ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთანაც მსგავს ფორმულას გამოიყენებს. თუკი საქართველო ზეპირი განცხადებებიდან ქმედებებზე გადავა და „გაზპრომს“ თანამშრომლობას სთხოვს, მოსკოვი თბილისს იაფ გაზს შესთავაზებს მხოლოდ დიდი ვაჭრობისა და დათმობის ხარჯზე. მოსკოვის მორიგი სვლა იქნება თბილისისა და ბაქოს ურთიერთობების გაციებაზე მუშაობა და საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა. ამას მოჰყვება მოსკოვის მხრიდან გაზის გაძვირების მუქარა და თბილისისგან მორიგი მსხვილი დათმობის მოთხოვნა.

მე-5 გვერდიდან

ძველი ადმინისტრაცია პატარა ციხეების ნაცვლად, „გულაგის“ სტილის ბარაკებს აშენებდა. დიახ, ეს ნაციონალების შეგნებული არჩევანი იყო, რომლის საწინააღმდეგოდაც ჩვენ მივდივართ. გვინდა, ევროპული ციხეები ავაშენოთ, სადაც საკნის ტიპის ოთახები იქნება, ამასთან, ჩვეულებრივი დაწესებულებები, დასაქმების ზონებისგან გაიმიჯნება. აი, ესაა ის ცივილური გზა, რომლითაც მივდივართ და არა ის, რაც ბაჩო ახალაიას ჰქონდა არჩეული.

— სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის გადადგომამდე, თურმე თანამდებობიდან თქვენი გათავისუფლების საკითხი განიხილებოდა, რადგან „სვამთ და სამინისტრო თავზე გემხობათ“. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის ყოფილი მაღალჩინოსნები იმ აუდიოჩანაწერში საუბრობენ, რომელიც დღეს საქმეში დევს და რომელიც „ვერსიამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა.

სოზარ სუბარი თანამდებობას ტოვებს!

— სიგიჟეა მსგავსი საუბარი, რადგან ალკოჰოლს საერთოდ არ ვსვამ. არის რაღაცები, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული ვითარების შესახებ ვიცი, თუმცა ახლა ამაზე არ ვისაუბრებ, ეს ჩემთვის არასერიოზულია. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ დალევა არ მიყვარს. მაქსიმუმ, ორი ჭიქა დავლიო. ასე გრძელდება უკვე ბოლო 15 წელია.

— არადა, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, შეზარხოშებული სოზარ სუბარი საზოგადოებას კარგად ახსოვს.

— მაშინ დათრობა კი არა, მერწმუნეთ, კვირების განმავლობაში, სასმელი თვალითაც არ მინახავს. თუ რაღაც ვიხუმრე, ეს სიმთვრალეს არ უნდა მივაწეროთ. წარმოიდგინეთ, ჟურნალისტმა მკითხა, გუბაზის ნათქვამზე რას იტყვითო. ეს კითხვა სერიოზულად რატომ უნდა მიმეღო? ასე რომ, არჩევნებამდე რაზეც ლაპარაკობდნენ, გურამ დონაძის მიერ აგორებული პროპაგანდა იყო.

— „ვერსიას“ კონფიდენციალურმა წყარომ მოაწოდა ინფორმაცია, რომ თანამდებობიდან წასვლა გსურთ და ამის შესახებ პრემიერსაც უკვე აცნობეთ. ბიძინა ივანიშვილი კი, ჯერჯერობით, პოსტზე დარჩენას გთხოვთ. რატომ გადაწყვიტეთ 8 თვეში თანამდებობის დატოვება?

— ამ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ, თუმცა მიმაჩნია, რომ ჩემი მისია სისტემაში უკვე შევასრულე და გავაკეთე ის, რაც ყველაზე მეტად მინდოდა — პენიტენციალურ სისტემას უფლებადამცველის ხელი დაეტყო. რეფორმების პირველი ნაწილი უკვე განვახორციელე, სისტემა გაადამიანურდა და ახლა სიამოვნებით მოვკიდებ ხელს სხვა საქმეს.

— მისია თუ შესრულებულია, გამოდის, თანამდებობიდან მიდიხართ?

— მეამაყება, რომ თუ ადრე, ციხეებში დღეში 15 ადამიანი კვდებოდა, მინისტრის თანამდებობაზე ჩემი დანიშვნიდან დღემდე, მხოლოდ 11 შემთხვევა დაფიქსირდა, მერწმუნეთ, ეს დიდი წარმატებაა. საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის და ამ მიმართულებითაც საამაყო ბევრი მაქვს, თუმცა უამრავი საქმეა გასაკეთებელი. ჯერჯერობით, მინისტრი ვარ და საკმაოდ აქტიურადაც ვმუშაობ.

მთავრობის მიერ პარლამენტის მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა 73 757 930 ლარი შეადგინა



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქუთაისში, პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის სახსრების მოპოვების, ხარჯების მიზნობრიობისა და კანონიერების აუდიტი განახორციელა.

აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, პარლამენტის მშენებლობის სამუშაოების დასაფინანსებლად, მთავრობის განკარგულებების თანახმად, გაწეულმა ხარჯმა 73 757 930 ლარი შეადგინა. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალის გაზრდის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან 209 720 ლარი გამოეყო. გარდა ამისა, მიიღო სესხი „ნავთობისა და გაზის კორპორაციისაგან“ 15 000 000 აშშ დოლარის და 13 500 000 აშშ დოლარის ოდენობით — წლიური 11%-ანი განაკვეთით. კორპორაციამ აღნიშნული სესხი 2012 წლი 16 მაისს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250 00 000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციებით მოზიდული სახსრებიდან გასცა. ფინანსთა სამინისტროსგან „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ 17 697 109 ლარის სესხი მიიღო — წლიური 2%-იანი განაკვეთით. პარლამენტის შენობის მშენებლობისთვის დაიხარჯა სახელმწიფოს მიერ ქონების რეალიზაციიდან შემოსული სახსრებიც.

აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, ქუთაისის მერიამ და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ვერ წარმოადგინეს ქუთაისში პარლამენტის სასახლის მშენებლობის საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია, რის გამოც ვერ მოხერხდა, ფაქტობრივად, გაწეული ხარჯების პროექტით გათვალისწინებულ ხარჯებთან შედარება.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველოს ბანკს“ EBRD-მა 23 მილიონი დოლარი გამოუყო!

ბანკმა 10 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხი ენერგოეფექტურობისთვის, 10 მილიონი ევროს მოცულობის დაფინანსება კი, საერთაშორისო ფაქტორინგისთვის მიიღო

„საქართველოს ბანკს“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 23 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი გამოუყო. აქედან, 10 მილიონი დოლარის მოცულობის სესხი ენერგოეფექტურობის პროგრამის განხორციელებას მოხმარდება, 10 მილიონი ევროს მოცულობის დაფინანსება კი, საქართველოს წამყვანმა ბანკმა საერთაშორისო ფაქტორინგისთვის მიიღო. მხარეებმა 2 შესაბამის ხელშეკრულებას ხელი, „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში, საგანგებო პრესკონფერენციაზე, ჟურნალისტების თანდასწრებით მოაწერეს. აქვე განიმარტა, რომ პირველი, 10 მილიონ დოლარიანი, 5-წლიანი სესხი EBRD-ის კავკასიის ენერგოეფექტურობის პროგრამის (CEFP) ფარგლებში გამოიყო და მოხმარდება კერძო საწარმოებზე კრედიტების გაცემას, ენერგოეფექტურობასა და ენერგიის გონივრულ მოხმარებაზე ორიენტირებული ინვესტიციების დაფინანსებას. მეორე, 10 მილიონი ევროს მოცულობის დაფინანსება კი, EBRD-ის ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის (TFP) ფარგლებში გამოიყოფა, ბაზარზე საერთაშორისო ფაქტორინგის შეთავაზების მხარდასაჭერად.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის თქმით, ბანკს კორპორატიულ კლიენტებზე ენერგოეფექტურობის სესხების გაცემის წარმატებული გამოცდილება აქვს.

ირაკლი გილაური: „საქართველოს ბანკს“ აქვს კორპორატიულ კლიენტებზე ენერგოეფექტურობის სესხების გაცემის წარმატებული გამოცდილება, რაც ბანკის დიდი ხნის პარტნიორსა და აქციონერთან, EBRD-თან CEEP-ის პირველი შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება. „საქართველოს ბანკი“ განაგრძობს დაფინანსების უზრუნველყოფას ბიზნესებისთვის და მათ შესაძლებლობას აძლევს, დანერგონ ენერგიის დამზოგავი ტექნოლოგიები, რათა გააუმჯობესონ კონკურენტუნარიანობა. დღეს ორ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. მოხარული ვარ, რომ საშუალება მოგვეცემა, გავზარდოთ კორპორატიული კლიენტებისთვის განკუთვნილი პროდუქტების სპექტრი და წვლილი შევიტანოთ ბანკის საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების გაფართოებაში. „საქართველოს ბანკმა“ საქართველოში პირველმა შესთავაზა ბაზარს ფაქტორინგი 2007 წელს. ყოველივე ეს წვლილს შეიტანს ბანკის საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების გაფართოებაში. ამ ხელშეკრულებების შედეგად გამოყოფილი საკრედიტო ხაზის საერთო მოცულობა 23 მილიონი დოლარია. ევრობანკი „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი უმსხვილესი კრედიტორია — მას ჩვენთვის 200 მილიონ დოლარზე მეტი მოცულობის საკრედიტო ხაზი აქვს გამოფილი ჯამში“.

თავის მხრივ, „საქართველოს ბანკთან“ პარტნიორობის გამო, კმაყოფილება გამოთქვა EBRD -ის გენერალურმა დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში. **ბრუნო ბალვანერას** თქმით, „საქართველოს ბანკი“, მომხმარებელს ყოველთვის ინოვაციურ პროდუქტებს სთავაზობს, ქვეყნის წამყვანი ბანკია და, შესაბამისად, მასთან ურთიერთობა სასიამოვნოა.

„მოხარულები ვართ, რომ ორ ახალ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. „საქართველოს ბანკთან“ უკვე 10 წელია ვთანამშრომლობთ, ამ ბანკის აქციების 5%-საც ვფლობთ და ძალიან მჭიდრო, წარმატებული თანამშრომლობა გვაქვს. „საქართველოს ბანკი“ სასიამოვნო ინოვაციებზეა ორიენტირებული და ეს ახალი ხელშეკრულებებიც ამის მაგალითია. ვაგრძელებთ რეალური ეკონომიკის დაფინანსებას, კერძოდ, ენერგოეფექტურობის დაკრედიტებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ენერგიის დაფინანსების ბაზრის განვითარება ისევე, როგორც ვაჭრობის ფინანსირების ფორმის საბანკო საქმიანობის შემდგომი პოპულარიზაცია საქართველოში. „საქართველოს ბანკი“, ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის მიმართულებით, ტრადიციულად, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ბანკია საქართველოში. ზრდის მაჩვენებლითა და მყარი რეპუტაციით ის ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშე გახლავთ“, — განაცხადა ბატონმა ბრუნომ და განმარტა: **„პირველი, ენერგოეფექტურობაზე გათვლილი ხელშეკრულების ფარგლებში, სესხის მიმღებს საშუალება ეძლევა, არა მარტო დაზოგოს ენერგია, არამედ უკან დაიბრუნოს დანახარჯის დაახლოებით 10-15%. ამის საშუალებას ევროკავშირის დაფინანსება იძლევა“.**

ნინო ლურსმანაშვილი

რატომ შეიქმნა ფონდი „ქართული გალობა“ და ვის დააჯილდოებენ პირველ საზეიმო კონცერტზე, 11 ივნისს?

ანზორ ერქომაიშვილმა, დექსო თორაძემ და ვანო ჩხარტიშვილმა ფონდი ქართული გალობა დააფუძნეს

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით, ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა ფონდი „ქართული გალობა“ დააფუძნა. დიდი ხანია, რაც ვანო ჩხარტიშვილი ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. 2006 წელს, მისი თანადგომით, საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის შემსწავლელი უმაღლესი სასწავლებელი დაფუძნდა, სადაც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებენ. ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში სიმღერა-გალობის შემსწავლელი სკოლები გაიხსნა, სნოში — ტიხრული მინანქრის სახელოსნო, ლონდონში — სამრევლო სკოლა, ხოლო ოზურგეთში — წმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აიგო. ფონდის „ქართული გალობა“ საბჭოს წევრები არიან ლექსო თორაძე და ანზორ ერქომაიშვილი, საპატიო პრეზიდენტი კი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ფონდის აღმასრულებელი დირექტორია ნანა გოთუა, პროგრამების ხელმძღვანელები კი გიორგი დონაძე, ბადრი ბერაია და და სვიმონ ჯანგულაშვილი.

ანზორ ერქომაიშვილის განმარტებით, ფონდის — „ქართული გალობა“ — მიზანია, ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა და ტრადიციული ქართული სიმღერა-გლობის პოპულარიზაცია. ფონდის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ტრადიციული გალობისა და სიმღერის მეცნიერული კვლევა, უძველესი ნიმუშებისა და ჩანაწერების მოძიება-აღდგენა, შესაბამისი აუდიო, ვიდეო და ელექტრონული ვერსიების გამოცემა. მისი თქმით, ფონდი ხელს შეუწყობს ტრადიციული მუსიკის შესწავლას, სამეცნიერო კვლევებს და ამ მიმართულებით ნაშრომთა გამოცემას, კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების გამართვას. ფონდი „ქართული გალობა“ დიდ ყურადღებას დაუთმობს ტრადიციული მუსიკის სწავლებას, ხელს შეუწყობს ლოტბართა და რეგენტთა დასაქმებას.

„ფონდის მიზანია, საქართველოში ქართული ხალხური შემოქმედების მხარდაჭერა, ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლების აღდგენა და პოპულარიზაცია, გარდა ამისა, ფესტივალებისა და კონცერტების გამართვა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებსგარეთაც. ფონდის „ქართული გალობა“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, საქართველოს რეგიონებში სიმღერების, საგალობლების აღორძინება და მისი მეცნიერული კვლევა. რაც მთავარია, უცხოეთში არსებულ ქართულ ეკლესიებში სამრევლო სკოლები და მგალობელთა ცენტრები შეიქმნება. ამ კეთილშობილური საქმის სულისჩამდგმელი და დამფუძნებელი კი ცნობილი ბიზნესმენი, ვანო ჩხარტიშვილია, რომლის ინიციატივითაც საქართველოსა და საზღვარგარეთ არაერთი კონცერტი და ფესტივალი გაიმართა. 2013 წლის 11 ივნისს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე, 19:00 საათზე, ფონდი „ქართული გალობა“ პირველ საზეიმო ღონისძიებას, „ქართული ხალხური სიმღერა — კაცობრიობის საგანძური“, გამართავს. კონცერტზე მოწვეულები არიან ქართული ხალხური სიმღერების გამორჩეული შემსრულებლები საქართველოს რეგიონებიდან“, — აღნიშნა **ანზორ ერქომაიშვილმა**.

მისი თქმით, კონცერტის ბოლოს, საზეიმო ვითარებაში, ფონდი „ქართული გალობა“, საზეიმო კონცერტის გამორჩეულ მონაწილეებს განსაკუთრებულ პრიზებსა და ფულად ჯილდოებს გადასცემს. „ვერსიის“ კითხვაზე, 11 ივნისის კონცერტი და დაჯილდოება ტრადიციულ სახეს მიიღებს თუ არა, **ანზორ ერქომაიშვილმა** უპასუხა: **„რა თქმა უნდა, ასე იქნება. მეტიც, ყოველწლიურად დაჯილდოვდებიან ყველაზე გამორჩეული პიროვნებები, რომლებსაც ქართული ფოლკლორის განვითარებაში დიდი წვლილი და ამაგი მიუძღვით“.**

ფონდის „ქართული გალობა“ საბჭოს წევრმა, მსოფლიოში ცნობილმა პიანისტმა, **ლექსო თორაძემ** აღნიშნა, რომ ამ ფონდის შექმნის იდეა პორტუგალიაში, ვანო ჩხარტიშვილთან მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ დაიბადა, რომელმაც გადაწყვიტა, ლექსო თორაძის კონცერტი დაეფინანსებინა:

„კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის ამ საოცარმა კომბინაციამ ლისაბონის საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც ფონდის „ქართული გალობა“ შექმნით, მომავალშიც გაგრძელდება. მართლაც სასიხარულო მოვლენაა, რომ ეს ფონდი ჩამოყალიბდა, რაც ვანო ჩხარტიშვილისა და ჩვენი უსაყვარლესი ანზორ ერქომაიშვილის გარეშე გაძნელდებოდა. მუსიკა სხვადასხვანაირია, ის ან გენიალურია, ან უკვე მუსიკა აღარ არის. ბატონო ანზორ, თქვენ გენიალური მუსიკა შექმენით და არა მხოლოდ „გორდელათი“, არამედ „მართვესა“ და „რუსთავის“ საშუალებითაც, რაც ქართული ფოლკლორის საგანძურია. ამბობენ, არქიტექტურა და ტრადიციული, ქართული ძეგლები განყენებული მუსიკააო და თუ ეს ასეა, მაშინ მუსიკა აჟღერებული სვეტიცხოველი, სამება და ჯვრის მონასტერია“.

ფონდის „ქართული გალობა“ საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება ტრადიციული მუსიკის აღორძინება საქართველოს რეგიონებში. ფონდი ტრადიციული მუსიკით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციასა და პირთან ითანამშრომლებს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებსგარეთ.

მაია მიშელაძე

სააკაშვილმა ივანიშვილს დასაფინანსებლად უცხოეთში სწავლების მსურველ სტუდენტთა სრული სია გადაუგზავნა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიმართვას უგზავნის და სთხოვს, ქართველი სტუდენტების უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დააფინანსოს. როგორც მიმართვაშია ნათქვამი, ახალგაზრდების ნაწილი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება, თუმცა მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შემცირებული ბიუჯეტის ფონზე, ყველას დახმარება შეუძლებელია.

„ბატონო ბიძინა, დამეთანხმებით, საქართველოს მომავალი განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი განათლებაა. ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში დიდ ყურადღებას ვუთმობდი ამ სფეროს და თქვენთვის კარგად ცნობილია ის ურთულესი რეფორმები, რომლებიც ჩემმა მთავრობამ განათლების სისტემაში განახორციელა. ამის მიუხედავად, ფაქტია ისიც, რომ განათლებული კადრის გარეშე ვერც ერთი სისტემა ვერ იმუშავებს და ამ გარემოებით იყო განპირობებული, რომ წლების განმავლობაში, ათეულობით მილიონი დავხარჯეთ იმისთვის, რომ რეფორმების პარალელურად, ხელი შეგვეწყო ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლისათვის.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი ის გარემოებაც, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი თქვენმა მთავრობამ რამდენჯერმე შეამცირა. ამის მიუხედავად, ჩვენ გადავწყვიტეთ, ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც ახალგაზრდების განათლებაზე მიგვემართა და ამ მიზნით, 1 მილიონი ლარი გამოვყავით.

საბედნიეროდ, ახალგაზრდების დაინტერესება კვლავაც ძალიან დიდი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ყველა ღირსეულის დაფინანსება, ამიტომ გადავწყვიტე, გადმოგიგზავნოთ აპლიკანტების სრული სია ყველა სათანადო დოკუმენტაციით და გთხოვოთ, გამოყოთ სათანადო სახსრები მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რათა დამატებით გამოავლინოთ ღირსეული კანდიდატები და მისცეთ მათ საშუალება, ისწავლონ მსოფლიოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ წერილთან ერთად, გეგზავნებათ აპლიკანტთა სია სათანადო დოკუმენტაციით. იმედს ვიტოვებ, რომ ყურად იღებთ ჩემს თხოვნას“, – ნათქვამია პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილ მიმართვაში.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს: **„მომავალ წლებშიც არასოდეს შეწყდეს მსგავსი კონკურსები, რათა კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას მიეცეს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების საშუალება. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის“.**

„ინტერპრესნიუსი“

მოსკოვი-რომის რეისის თვითმფრინავში საქართველოს მოქალაქის გვამი აღმოაჩინეს

მოსკოვი-რომის რეისის თვითმფრინავში საქართველოს მოქალაქის გვამი აღმოაჩინეს, — ამის შესახებ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“, საგამოძიებო სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის გვამი თვითმფრინავის ტექნიკურ ნაწილში იყო. საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, მამაკაცი ჰიპოთერმიის შედეგად გარდაიცვალა.

ავიაკომპანია I FLY-ის თვითმფრინავი ნუკოვოს აეროპორტში 6 ივნისს, გვიან ღამით დაეშვა. ლაინერის საბარგო ნაწილის შემოწმებისას, ავიატექნიკოსებმა გარდაცვლილი მამაკაცი ნახეს, რომელიც საბუთების მიხედვით, საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

„ინტერპრესნიუსი“

ქუთაისს ახალი, „ნეიტრალურად ობიექტური“ მერი ჰყავს

ვინ არის დიმიტრი კოპალიანი და როგორ აპირებს იგი ქუთაისში ინვესტორების მოზიდვას

თორნიკე ხურცილაძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

ქუთაისს ახალი მერი ჰყავს — დიმიტრი კოპალიანი, რომელმაც საქართველო 1991 წელს დატოვა და სწავლა ქალაქ ნიუპორტში განაგრძო, მოგვიანებით, ის საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა, სადაც მიჩიგანის უნივერსიტეტი დაამთავრა. დიმიტრი კოპალიანი პროფესიით ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტია და მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი.

„ვერსია“ ქუთაისის ახლადდანიშნულ მერ დიმიტრი კოპალიანს, ინტერვიუს ჩასაწერად პირველივე სამუშაო დღეს, კაბინეტში შესვლიდან სულ რაღაც ათ წუთში ეწვია. ახალ მერს, რამდენიმე ახალი თანამშრომელიც ახლდა, თუმცა „ვერსიის“ ყურადღება ტატო ლილუაშვილმა მიიპყრო, რომელმაც ხელი „ზედმეტი ფამილარობით“ გადამხვია და ინტერვიუს დაწყებამდე, კითხვების შეთანხმება მომთხოვა, მოგვიანებით კი განმარტა, რომ მომავალში მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსად დაინიშნება. ტატო ლილუაშვილი — ეს სახელი და გვარი ქუთაისურ საზოგადოებას ბევრს არაფერს ეუბნება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი მოძრაობა „ეს შენ გეხება“ ქუთაისის კოორდინატორი იყო. საბოლოოდ, ქუთაისის მერთან საუბარი მოვახერხე და პირველი კითხვის დასმამდე, ქალაქის ახალ თავს, მერის სავარძელში მოკალათება მივულოცე.

— ბატონო დიმიტრი, გილოცავთ ქალაქის მერობას. სამომავლო გეგმებისა და იმ პროექტების შესახებ გვიამბეთ, რომლის განხორციელებასაც აპირებთ?

— პირველი, რასაც გავაკეთებ, გამჭვირვალე თვითმმართველობა იქნება. უნდა შევქმნათ გამჭვირვალობის ატმოსფერო, უნდა ჩავერთოთ ელექტრონულ სისტემაში, ასევე გვინდა ახლო კავშირები ახალგაზრდობასთან. მეორე, რაც აუცილებელია, მერიაში მენეჯმენტის რეორგანიზაციაა — ვცდილობთ, შევქმნათ სამუშაო ჯგუფები. მაქვს კიდევ ერთი მიზანი — მინდა, ქუთაისით ინვესტორები დავაინტერესო.

— ქუთაისის მერიაში უკვე მიმდინარეობს სტრუქტურული რეორგანიზაცია. წინასწარი ინფორმაციით, სამსახურს 300 მეტი ადამიანი დატოვებს...

— მე აქ ხალხს ვუყურებ თანამდებობებით და არა ინდივიდუალურად, აქ ბევრს არ ვიცნობ. ამ პროცესს კომისია განახორციელებს.

— არის თუ არა რეალურად საჭირო მერიაში რეორგანიზაცია?

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია. მსოფლიოს დიდ ქალაქებთან შედარებით, ქუთაისის მერიაში გაცილებით ბევრი ადამიანია დასაქმებული. შედარებისთვის მოგახსენებთ — ლონდონის მერიაში, დაახლოებით, ასი კაცი მუშაობს, ნიუ იორკ სიტიში — 400-500. ქალაქების მასშტაბების გათვალისწინებით, ქუთაისის მერიაში ძალიან ბევრი თანამშრომელია დასაქმებული.

— რეორგანიზაციის პროცესში პირადად ჩაერთვებით?

— პროცესი დაწყებულია და ყველაფერს თვალს ვადევნებ.

— დღეს საპარლამენტო ქალაქის მერი ბრძანდებით. აქტიურად საუბრობენ დედაქალაქში პარლამენტის გადატანაზე. საკანონმდებლო ორგანოს ადგილმონაცვლეობას ეწინააღმდეგებით?

— საჭიროა, სწორად გავთვალოთ ის ფინანსური ხარჯი, რომელიც ქალაქში პარლამენტის ფუნქციონირებას უკავშირდება. რიცხვები და ეკონომიკა ამ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. სწორი ანალიზი მიგვიყვანს კიდევ უფრო სწორ გადაწყვეტილებამდე.

— თქვენს მერად არჩევას ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს — უნდობლობას უცხადებენ კომისიას, რომელმაც თერთმეტ კანდიდატს შორის სწორედ თქვენ შეგარჩიათ. საუბრობენ იმაზეც, რომ კონკურსი და კომისიის შექმნა პოლიტიკური ფარსი იყო. ფარსის შედეგად მოსული მერი ხართ?

— არა, დიდი გამოცდილება მაქვს, მოულოდნელი არ იყო, რომ კომისიამ დამიჭირა მხარი. დავამთავრე მსოფლიოს წამყვანი სამი ქვეყნის ხუთი უნივერსიტეტი და რა გასაკვირია, კომისიის რჩეული რომ გავხდი.

— რატომ მიიღეთ ქალაქის მერობის გადაწყვეტილება?

— ქუთაისში ჩამოსვლას ადრეც ვგეგმავდი, ჩემს ქალაქში მიმდინარე პროცესებმა და შექმნილმა ვითარებამ კი ჩემი დაბრუნება დააჩქარა. ვფიქრობ, ქუთაისისთვის ეს სასიკეთო იქნება.

— როგორ შეაფასებთ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდს?

— მაგათ კარგი რაღაცები გააკეთეს. პოლიტიკურად არავის ვუჭერ მხარს. მოვიხიბლე პოლიციით და იუსტიციის სახლებით, სერვისია უმაღლეს დონეზე და იმედია, ასეთი მომსახურება მერიაშიც გვექნება.

— მხარდაჭერა ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა წევრებმაც გამოგიცხადეს. როგორ აფასებთ მათი პოლიტიკური კურსის ცვლას და ამ ფონზე, ფიქრობთ თუ არა, რომ მათ შეიძლება თქვენც გიღალატონ?

— მინდა, ქალაქს დავეხმარო, მესმის, ჩემს მიმართ ინტერესი დიდი და განსაკუთრებულია, რადგან საზღვარგარეთ ვცხოვრობდი და ახლა დავბრუნდი. რაც შეეხება პოლიტიკური გემოვნებისა და გუნდების ცვლას, ყველა საკუთარ არჩევანს აკეთებს და ამის გამო ვერავის გავაკრიტიკებ.

— მართალია, რომ პირადად ბიძინა ივანიშვილის რჩეული ხართ და საქართველოში მისი მოწვევით ჩამოხვედით? იმასაც ამბობენ, რომ ანაზღაურების სახით, 17 000 ლარი მოითხოვეთ...

— ეს სიცრუეა, ჩემი ქალაქის სიყვარულის გამო ჩამოვედი და მინდა, საკუთარი გამოცდილება ჩემს ხალხს მოვახმარო.

— ანუ ქალაქის სიყვარულის გამო, უარი თქვით ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმეათასიან ხელფასზე?

— დიახ, სწორედ ასეა, იქ პროფესიულ მწვერვალზე ვიყავი, ნახევარი სიცოცხლე საზღვარგარეთ გავატარე და, როგორც უკვე გითხარით, მინდა, ჩემი გამოცდილება ქუთაისს გავუზიარო.

— ადასტურებთ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ქალაქს სამი ვიცე-მერი ეყოლება: თენგიზ თოფურიძე, ნიკო ლომიძე და გია შარაბიძე?

— არა, არა, ასე არ არის... ეს ჭორია და ძალიან გამიკვირდა, როდესაც ეს თქვეს. ჯერ უნდა გავეცნო ამ ადამიანებს.

— ქუთაისის მერობა ყველაზე მოკლევადიან თანამდებობად სახელდება, რადგან ვარდების რევოლუციის შემდეგ თქვენ ქალაქის მეათე თავი ხართ. ფიქრობთ, ამ თანამდებობაზე დიდხანს იქნებით?

— იმედია, ასე იქნება. ერთი წელი მაინც ვიქნები. შემდეგ უკვე დრო გვიჩვენებს.

— ქალაქის პრობლემებს იცნობთ?

— ახლა ქალაქში ძალიან რთული ვითარებაა, ბევრი პრობლემაა, წყლის სისტემაა მოსაგვარებელი, დასუფთავების პრობლემაა გადასაჭრელი... შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფები და ყველა პრობლემაზე ერთობლივად ვიმუშავებთ და ყველაფერს ერთპიროვნულად არ გადავწყვეტ.

— თუ თქვენი ნათქვამით ვიმსჯელებთ, პოლიტიკის შესახებ მხოლოდ წიგნები მაქვს წაკითხულიო, პოლიტიკაში ვერ უნდა ერკვეოდეთ, არა?

— ეს ხუმრობით ვთქვი, ისე ბევრ პოლიტიკოსს ვიცნობ. ნეიტრალურ-ობიექტური პოზიცია მაქვს და მიზნად დავისახე, ქალაქს დავეხმარო.

დიპლომატიური აბსურდი — საქართველოს 4 ქვეყანაში ელჩი ისევ არ ჰყავს!

ეროსუდან შელია
557-100-768

რა პრობლემას შეუქმნის დიპლომატების არარსებობა ქვეყანას ვილნიუსის სამიტის წინ

ვილნიუსის სამიტის წინ, საქართველოს ელჩები არ ჰყავს ისეთ მნიშვნელოვან ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და გერმანია, თუმცა დღემდე დაუმტკიცებელი დიპლომატების სია, კიდევ უფრო დიდია: თედო ჯაფარიძე — დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ვლადიმერ ჭანტურია — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დავით აფციაური — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ზურაბ ბერიძე — ბულგარეთის რესპუბლიკა... ეს ელჩობის იმ კანდიდატების ჩამონათვალია, რომელთა დანიშვნის ბრძანებასაც პრეზიდენტი ამ დრომდე ხელს არ აწერს. „ვერსია“ დაინტერესდა, რა პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას პრეზიდენტის გაჯიუტება ელჩების არდამტკიცებასთან დაკავშირებით და რამდენად ობიექტურია ხელისუფლება, როცა ამ ფაქტს „დიპლომატიურ საბოტაჟს“ უწოდებს.

„თუ პრეზიდენტი აცხადებს, რომ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს პატივს სცემს, მაშინ გაუგებარია, რა უდგას წინ ამ პარლამენტის მიერ დამტკიცებული ელჩების დანიშვნის ბრძანებებზე ხელის მოწერას. აღსანიშნავია, რომ მას ხელმოწერაზე ელჩების წარდგენამდე უარი არ უთქვამს, რაც იმას ნიშნავს, რომ კანდიდატურებს ეთანხმება. ამ დროისთვის, წარდგენილია ელჩის კანდიდატურა ოთხ ქვეყანაში, რომელსაც პრეზიდენტი პარლამენტს არ უგზავნის და ეს სერიოზულად უშლის ხელს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობას“, — ასე გამოეხმაურა საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ელჩების დანიშვნის პროცესის გაჭიანურებას. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე კი ამ მიმართულებით შექმნილ ვითარებას დიპლომატიურ აბსურდს უწოდებს: **„დიდი ხანია, დიპლომატიურ სფეროში ვტრიალებ, მსგავსი რამ კი არსად მინახავს და არც მსმენია. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყანა ამ მხრივაც გამორჩეულია. რაც დღეს ელჩებთან დაკავშირებით ხდება, დიპლომატიური აბსურდია — ჩვენ ელჩები არ გვყავს ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია და თუნდაც, დიდი ბრიტანეთი. ამ ქვეყნების მხრიდან ეს ყოველივე ისე აღიქმება, თითქოს იქ დიპლომატები, უბრალოდ, არ გვჭირდება“.**

აღსანიშნავია, რომ ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლად ლევან დოლიძე მხოლოდ რამდენიმე დღის წინ დაინიშნა, რის გამოც, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის კომიტეტის წევრის, გიორგი ვოლსკის განცხადებით, მნიშვნელოვანი დაბრკოლება წარმოიქმნა: **„ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილი დღეს მხოლოდ პიარითაა დაკავებული და აბსოლუტურად წინააღმდეგობრივ განცხადებებს აკეთებს. ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლად ლევან დოლიძე მხოლოდ რამდენიმე დღის წინ დამტკიცდა, თუმცა ეს გადაწყვეტილება უკვე საკმაოდ დაგვიანდა და ლევან დოლიძეს გარკვეული პერიოდი დასჭირდება საქართველოს ინტერესების გასატარებლად. სააკაშვილი ცდილობს, საგარეო ასპარეზზე ლობისტების საშუალებით არსებული გავლენა ბოლომდე შეინარჩუნოს, რასაც შემდეგ, შიდაპოლიტიკაში დივიდენდების მოსაპოვებლად და მთავრობის დისკრედიტაციისთვის იყენებს. საერთოდ, ელჩების დანიშვნა ნორმალურ ქვეყნებში ჩვეულებრივი პროცესია, მხოლოდ სააკაშვილისთვის იქცა სირთულედ. ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ხელი მიზანმიმართულად შეგვიშალოს. იმის გამო, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვან სახელმწიფოებში ელჩები ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა, მოლაპარაკებებს, ამ ეტაპზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები აწარმოებენ. არ ვარ განწყობილი, ნაციონალებს რამე დავაბრალო, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. არ შეიძლება, ამდენ ხანს სახელმწიფო, სხვადასხვა ქვეყანაში სრულფასოვანი წარმომადგენლის გარეშე დარჩეს, რადგან ეს არის ხელშეშლის გარკვეული ფორმა. საერთოდ, ნაციონალური მოძრაობა საკუთარი პარტიული ინტერესების წინა პლანზე წამოწევას მიეჩვია. მრავალი მაგალითი გვაქვს, როცა ელჩები, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, დარბოდნენ და „ქართული ოცნების“ მადისკრედიტირებელ მასალებს დელეგაციებში არიგებდნენ. ახლაც, რამდენიმე ქვეყანაში, ელჩების არდამტკიცებით, სააკაშვილი ცდილობს იმის დადასტურებას, რომ გავლენა ისევ შემორჩა, ეს კი სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ მუშაობს“.**

კითხვაზე, რატომ აჭიანურებს პრეზიდენტი ელჩების დამტკიცებას და რა სახის პრობლემები ექმნება სახელმწიფოს ინგლისსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, გერმანიაში, ჩინეთსა და ბულგარეთში ელჩების არარსებობით, პასუხი მარტივია — ხელი ეშლება საქართველოს ურთიერთობას რამდენიმე ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყანასთან, რითიც მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ჭიანურდება. ამასთან, პრეზიდენტის მხრიდან აღნიშნული პროცესის გაწელვა მთავრობისთვის ხელშემშლელი ფაქტორი ხდება საგარეო პოლიტიკის განხორციელების კუთხითაც. მეტიც, მმართველი გუნდის განცხადებით, ეს არის უმაღლესი დონის საბოტაჟი, რაც თანამედროვე სახელმწიფოთა ისტორიაში, უბრალოდ, გაუგონარი პრეცედენტია — როგორც მინიმუმ, ელჩი აუცილებელია სახელმწიფოში მაღალი დონის შეხვედრებისა და ვიზიტების უზრუნველსაყოფად. ხელისუფლების განცხადებით, აღნიშნული პროცესის გაჭიანურება მეორე მხარის ქვეყნისთვისაც შეურაცხმყოფელია და რაც მთავარია, ელჩების დანიშვნის საკითხის გადაუჭრელობით საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებსაც დაბრკოლება ექმნება. მეტიც, ვილნიუსის სამიტის წინ, საქართველოს არ ჰყავს ელჩები ისეთ საკვანძო ქვეყნებში როგორიცაა გერმანია და დიდი ბრიტანეთი!

რით შეიძლება აიხსნას სააკაშვილის გაჯიუტება და რა ინტერესი აქვს პრეზიდენტს? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანს, პოლიტოლოგ ბაკურ კვაშილავას გაუძნელდა, თუმცა მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ, „ვერსიასთან“ ასეთი კომენტარი გააკეთა: **„მეც ვერ ამიხსნია, რატომ ჭიანურდება თედო ჯაფარიძის, ვლადიმერ ჭანტურიას, დავით აფციაურისა და ზურაბ ბერიძის ელჩად დანიშვნის პროცესი. ამ საკითხით, უშუალოდ, ელჩობის კანდიდატები და საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა დაინტერესდეს და თუ საჭირო გახდა, პრეზიდენტსაც პირადად ჰკითხოს. რაც შეეხება ვილნიუსის სამიტს, პირადად მე მიმაჩნია, რომ ოთხ სახელმწიფოში ელჩის არარსებობა გარდამტეხი არ იქნება და შედეგზე გავლენასაც ვერ მოახდენს“.** ბაკურ კვაშილავა უფუნქციოდ დარჩენილი პრეზიდენტის ვოიაჟებსაც აფასებს და აცხადებს, რომ ქვეყნის პირველი პირის მიერ მთავრობისგან დამოუკიდებლად წარმოებული საგარეო პოლიტიკა დადებითი შედეგის მომტანი ვერ იქნება: **„მიხეილ სააკაშვილის მცდელობა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით საბოლოოდ მარგინალურ შედეგამდე მიგვიყვანს. ასევე გაუგებარია მისი მხრიდან ხელისუფლების მისამართით გაკეთებული შეთავაზება საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობის შესახებ. კარგად ვხედავთ, რომ ორ პოლიტიკურ ძალას შორის საკმაოდ მწვავე დაპირისპირებული ფონი იქმნება“.**

საქართველოს რეფორმების ასოციაციის ხელმძღვანელი და საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე კი, „ვერსიასთან“ საუბრისას, ორივე მხარეს კონსენსუსიკენ მოუწოდებს: **„ნამდვილად ვერ ვხსნი, რატომ არ ინიშნება ოთხი კანდიდატი ელჩად, თუმცა თავისთავად დაუშვებელია, აღნიშნულ სახელმწიფოებში საქართველოს წარმომადგენელი არ ჰყავდეს. ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტი და საპარლამენტო ოპოზიცია ქვეყნის საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებს, თუმცა ფაქტია, რომ გადაწყვეტილება რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღონ. შესაძლოა, ორივე მხარეს კანდიდატურებზე შეთანხმება უჭირს, თუმცა ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლაზე ორივე პოლიტიკურმა ძალამ ერთდროულად უნდა იზრუნოს. ვფიქრობ, აუცილებელია პრეზიდენტთან შეხვედრაც, რათა აღნიშნული პრობლემა დადებითად გადაწყდეს“.**

„ვერსია“ მთელი დღის განმავლობაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ანდრო ბარნოვთან დაკავშირებას ცდილობდა, თუმცა ამაოდ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსმა ნათია ბანძელაძემ კი განგვიმარტა: **„როგორც ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით ანდრო ბარნოვი არ მიიჩნევს თავს ვალდებულად, კომენტარი გააკეთოს. ვფიქრობ, არაფერი დაშავდება თუ ოფიციალური პასუხი არ გექნებათ“.**

ელჩების დანიშვნასთან დაკავშირებით, ნაციონალური მოძრაობის დანარჩენი წევრებიც ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ: თითქოს, პირი შეკრეს — არც ერთმა მათგანმა საკითხთან დაკავშირებით, საუბარი არ ისურვა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა აკაკი მინაშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი გვითხრა, სერგო რატიანისა და გიორგი გაბაშვილის საქმიანი შეხვედრებიც რატომღაც მუდმივად ჩვენ ზარებს ემთხვეოდა...

„ვერსიას“ ნაციონალებიდან ამ თემაზე მხოლოდ დავით დარჩიაშვილი ესაუბრა. თუმცა, საკითხი სიღრმისეულად არც მას განუხილავს — რა დროს ელჩებია, როცა რუსეთი გვთხოვს, აფხაზეთი და სამაჩაბლო დავივიწყოთო — დარჩიაშვილის კომენტარს ასეთი პათოსი გასდევდა ლაიტმოტივად. **„ელჩების თემა მეასეხარისხოვანია. საბოტაჟია ის, რასაც „ოცნება“ აკეთებს რუსეთთან მიმართებაში და პროტესტიც არ უჩნდება იმაზე, რომ კარასინი მთხოვს ოკუპაციის კანონის გაუქმებას, რაც დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ელჩების თემასთან დაკავშირებით კი, პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმართეთ“!**

როდის მოაწერს პრეზიდენტი 4 ელჩის დანიშვნას ხელს, ან მოაწერს თუ არა საერთოდ, უცნობია. დღეს სააკაშვილი, ძირითადად, საზღვარგარეთ „ერთპიროვნული საგარეო პოლიტიკის“ გატარებითაა დაკავებული. იმას ვგულისხმობთ, რომ პრეზიდენტი, რომელიც მუდმივად წუწუნებს, უფუნქციოდ დამტოვესო, არასაჭირო ვოიაჟებში ხარჯავს დროს და არც გრძნობს თავს ვალდებულად, ამ ვოიაჟების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობოს.

ვერსიანიუსი

შს მინისტრმა უშიშროების საბჭოს სხდომა დადებითად შეაფასა

შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დადებითად შეაფასა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართული უშიშროების საბჭოს სხდომა და აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, ის აქამდეც ჩატარებულიყო. **„სხდომაზე განვიხილეთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორიცაა ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოება. მივიჩნევ, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც უნდა გაგრძელდეს“,** — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

უშიშროების საბჭოს სხდომა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გახსნა, რომლის განცხადებითაც, სხდომის დღის წესრიგი „განპირობებულია პროვოკაციებით, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია აწყობს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ასევე იმ თემებით, რომლებიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის დამპყრობლის მცდელობას, იაროს სხვადასხვა ქვეყანაში და მოიპოვოს მისი ოკუპაციის უკანონო აღიარება“. სააკაშვილის თქმით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი შეკრებები უნდა გაგრძელდეს.

„ვერსიანიუსი“

ომბუდსმენი მოსამართლეებს მოუწოდებს, ღირსებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება მიიღონ

სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის შეფასებით, 9 ივნისის კონფერენცია სასამართლო ხელისუფლების სამომავლო ფორმირებისა და მის ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. მოსამართლეთა კონფერენციასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ვკითხულობთ: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2013 წლის 1 მაისის ორგანული კანონით დადგენილი რეგულირება უზრუნველყოფს სასამართლოს ჯეროვან და რეალურ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. ამ მიმართებით მოსამართლეთა 2013 წლის 9 ივნისის კონფერენცია იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი სასამართლო ხელისუფლების სამომავლო ფორმირებისთვის და მის ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბებისთვის. სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას, განახორციელოს კონტრიბუცია ამ პროცესისადმი“. ომბუდსმენის აზრით, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ 2013 წლის პირველი მაისის საკანონმდებლო ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა, თითოეულმა მოსამართლემ გააცნობიეროს მისი, როგორც სასამართლო ხელისუფლების უმთავრესი განმახორციელებლის უმნიშვნელოვანესი როლი: „საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს მოსამართლეთა კონფერენციის მონაწილეებს, არჩევანი გააკეთონ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ხელისუფლების ღირსებისა და ავტორიტეტის ინტერესებით ნაკარნახევი შინაგანი რწმენით“.

„ინტერპრესნიუსი“

„მაქსიმალურად წარმოვაჩენთ ჩვენს მიერ განხორციელებულ რეფორმებს“

„ჩვენ მაქსიმალურად წარმოვაჩენთ ჩვენს მიერ განხორციელებულ რეფორმებს“, — განუცხადა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გამართული საერთაშორისო კონფერენციის დასრულების შემდეგ. კონფერენცია ეძღვნებოდა თემას: „გზა ევროპული ინტეგრაციისკენ — სამართალდამცავი უწყებების როლი“.

ღარიბაშვილის განმარტებით: **„თებერვალში მივიღეთ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა. დღევანდელი კონფერენცია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ჩვენს სამინისტროს აქვს დიდი რეფორმები გასატარებელი. ჩვენ მოვიწვიეთ, დაახლოებით, 20 ქვეყნის წარმომადგენელი, რათა მათ გავაცნოთ ჩვენს მიერ გატარებული რეფორმები, ასევე გავცვალოთ ინფორმაციები და გამოცდილება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, არალეგალური მიგრაცია...“**

შს მინისტრმა მადლობა გადაუხადა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას, რომელმაც ეს კონფერენცია დააფინანსა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ბრალდებულები ყაჩაღობიდან ნახევარ საათში დააკავა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მე-2 სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1978 წელს დაბადებული ივანე კ, 1974 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გოჩა მ. და 1985 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ლაშა ტ. ყაჩაღობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დაკავებულები გურჯაანში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, გაზგასამართ სადგურზე შეიჭრნენ, ოპერატორებს: ალიკა კ-ს და ილია ქ-ს თანხა გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, მომხდარიდან ნახევარ საათში დააკავეს. გატაცებული თანხა ნივთმტკიცებად სრულად ამოიღეს.

გამოძიება ჯგუფური ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც 7-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

გამოძიებას შსს-ის კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი ორი პირი: 1996 წელს დაბადებული პავლე ბ. და 1988 წელს დაბადებული ზურაბ კ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 5 ივნისს, გამთენიისას, ზესტაფონში, აღმაშენებლის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ვახტანგ ოსაძეს ბლაგვი საგნით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაშავებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული ცხელ კვალზე, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილთან ახლოს დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 108-ე მუხლით, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

„საქართველოში ოსური ტერიტორიული ერთეულის ისტორიული საფუძველი არ არსებობს“



რა ავანტიურას გეგმავს კრემლი საქართველოში პუტინის პრესტიჟის აღსადგენად

ანა ქევხიშვილი

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მიხეილ გორბაჩოვი ზვიად გამსახურდიას დაემუქრა: „საქართველოს საბჭოთა კავშირიდან შეუძლია გავიდეს, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე“... ამის შემდეგ რუსეთის მიერ წაქეზებულმა სეპარატისტულმა ძალებმა მიიღეს დადგენილება „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ“. საქართველოს უზენაესმა საბჭომ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, გააუქმა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. მას შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა, მაგრამ ძირძველი ქართული ტერიტორია — სამაჩაბლო კვლავ სამხრეთ ოსეთად მოიხსენება. მეტიც, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, რამდენიმე კვირის წინ, სამასი მეტრით გაიზარდა... სამაჩაბლოში ყოფნის რა ისტორიული საფუძველი გააჩნიათ ოსებს და არსებობს თუ არა რაიმე კანონიერი გამოსავალი ქართული ტერიტორიების დაბრუნების თვალსაზრისით? ამ თემებზე „ვერსიას“ „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე ესაუბრება.

— უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ამ ერთეულის სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“ ისეთივე უკანონოა, როგორც საერთოდ, მისი არსებობა, რადგან 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს კანონით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმდა. ამ უკანონო ერთეულის საზღვრები ცნობილია, რადგან მრავალჯერაა გამოკვლეული. სადაც ახლა რუსების მოქმედება მიმდინარეობს, ეს „საზღვარი“ გადის ქართულ სოფელ ერგნეთსა და ცხინვალს შორის, აქედან ცხინვალამდე არც ერთი დასახლება აღარ არის. როდესაც მათ დააარსეს ეს აბსურდული ერთეული, ცხინვალში ცხოვრობდა სულ რამდენიმე ათეული ოსი ოჯახი.

— რამ განაპირობა მათი ექსპანსია?

— ოსები, ისტორიულად, მომთაბარე ხალხია. სადაც ახლა იმყოფებიან, „ჩრდილოოსეთში“, იქაც მოსულები არიან. მათი ეროვნება სწორედ მანდ ჩამოყალიბდა, მაგრამ სხვადასხვა ტომისგან შედგებიან — ნაწილი ირანიდან, დარიალის ხეობის გავლით, ხოლო ნაწილი კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შემოვიდა, მათ შორის, ჩრდილოეთიდან მოსულები არიან საკები. მე-13 საუკუნეში, როცა მონღოლებმა დაიპყრეს მთელი კავკასია, მაშინაც იყო ოსების ექსპანსიის მცდელობა, მაგრამ ქედზე არ გადმოსულან. საერთოდ, ოსებს, სხვისი მიწების ათვისების ტენდენცია აქვთ.

კონფლიქტი უკვე დაწყებული იყო, როდესაც ერთ-ერთ საზოგადოებრივ შეკრებაზე ოსმა პიროვნებამ დასვა კითხვა, რამდენ ხანს უნდა იცხოვროს რომელიმე ერმა კონკრეტულ მიწაზე, რომ ეს მიწა მისად ჩაითვალოს, ანუ რამდენ ხანს უნდა იცხოვრონ ცხინვალში, რომ ეს მიწა მათად ჩაითვალოს? ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ.

მეტსაც გეტყვით, ოსები მცირე რაოდენობით სხვადასხვა სოფელში იყვნენ გაბნეულები, მაგრამ მასა შემოვიდა 1864 წლიდან. ამ პერიოდში გაუქმდა ბატონყმობა და რადგან გლეხები არ ემორჩილებოდნენ, ქართველმა მემამულეებმა დაიწყეს ოსი ხიზნების გამოყენება. 1921 წლიდან, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, უკვე ინტენსიურად დაიწყეს მათი ჩამოსახლება. შემდეგ რუსებმა იქ აქტიური პროპაგანდა დაიწყეს. 9 აპრილის შემდეგ რაღაც ამბოხებას ამზადებდნენ. მახსოვს, პირველი მიტინგი, რომელსაც, რა თქმა უნდა, „კაგებე“ ხელმძღვანელობდა, ცხინვალში ჩაატარეს. მათ იქ ადგილობრივი ოსური ორგანიზაცია შექმნეს — „ადამონ ნიხასი“. შინაარსით, მიტინგი იყო უაღრესად აგრესიული, პირდაპირ რუსეთიდან შეკვეთილი... რეალური მუხტი კი არ ჰქონდა. ვიღაცას ფული გადაუხადეს და მოვიდა. მერე ეს პროცესი ძალიან გამწვავდა, ზვიად გამსახურდიამ წამოიწყო გასვლები ავტონომიის სხვადასხვა რაიონში. იქ იყვნენ პატრიოტები, რომლებიც მუდმივად საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ წინააღმდეგ მზადდებოდა ბომბი. ცხინვალში უმაღლესი საბჭოს სხდომა 23 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო. ორი თვით ადრე იყო დაანონსებული და ამაზე ხელის აღება უხერხული იყო. ამ შეკრების წინა დღე იქ გავატარე, მოვიარეთ სხვადასხვა სასწავლებელი, შევხვდით სტუდენტებსა და მასწავლებლებს... ერთი სიტყვით, ვამზადებდით ნიადაგს, რომ მეორე დღეს შეკრებაზე რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო. სხვათა შორის, ძალიან კარგ შედეგს მივაღწიეთ... როდესაც ჩამოვედით გავიგეთ, რომ წასვლის ორგანიზატორებს ზეპირი შეთანხმება მოუხდენიათ გუმბარიძის ხელისუფლებასთან — წავიდოდნენ, მაგრამ გადაუკეტავდნენ გზას. იქ შესვლა მართლა არ ღირდა. მახსოვს, წვიმდა და მოულოდნელად, ზურგში დანა ჩაგვარტყეს — უცებ გახსნეს გზა და ისე შევიდნენ ცხინვალში. ოსები და რუსები 80 ათასი კაცი არ ყოფილა, იქ იყო მაქსიმუმ 7 ათასი კაცი.

— პირველი ხელისუფლების დროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რა მიზნით გაუქმდა?

— 1921 წლის შემდეგ ჩვენ ვიყავით საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პირველი და ერთადერთი უზენაესი საკანონმდებლო ორგანო. რომ არ გაგვეუქმებინა ეს აბსოლუტურად უკანონო ერთეული, ისე გამოდიოდა, თითქოს ვაღიარეთ, რომ ეს ოლქი კანონიერი და დასაშვებია. ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულეთ.

— თუმცა სეპარატისტული მოძრაობა ამით მაინც ვერ შეჩერდა...

— როგორც აღვნიშნე, საქართველოში რაიმე ოსური ტერიტორიული ერთეულის ისტორიული საფუძველი არ არსებობს და ეს არის რუსეთის მიერ პროვოცირებული — რუსეთს მესამე მსოფლიო ომის დაწყების სურვილი ამოძრავებს, უნდა ოკუპირებული ამიერკავკასია, რათა დასავლეთისა და შუა აზიისკენ ვერავინ გაიაროს მის უკითხავად. ახლა, როდესაც ღობეების უკანონოდ გადმოწევა ხდება, ესაა მთავარი — ქართველების პროვოცირებას ახდენენ.

— საომარ მოქმედებებში ჩასათრევად?

— დიახ, რუსეთი ეძებს საბაბს. სერგეი ლავროვის ნათქვამს შეგახსენებთ: თუ დასავლეთი დაარტყამს სირიას, მაშინ რუსეთიც დაარტყამს საქართველოსო. ეს რა ლოგიკაა? ცოტას გადავუხვევ თემას: ლაფანყურის ინციდენტთან დაკავშირებით მაქვს ერთი ინფორმაცია ჩეჩნეთში მცხოვრები პიროვნებისგან, რომელმაც იცის, რაც ხდება — რუსეთის საზღვარი ისეა გამაგრებული, რომ იქ ხვლიკიც ვერ შეძვრება, არათუ 19-კაციანი შეიარაღებული რაზმი. ამ რაზმს თავისი, განსაზღვრული მარშრუტი ჰქონდა — ისინი მიდიოდნენ არა ჩეჩნეთში საომრად, არამედ იმისთვის, რომ საზღვარზე ჩაბარებოდნენ. მათ, ვინც ჩახოცეს, არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ რაიმე შეთქმულებაზე. განსაზღვრული იყო — შეთქმულების მონაწილე, სპეცოპერაციის მერე მისცემდა ჩვენებას, რომ ეს ყველაფერი მოამზადეს საქართველოში და მათი მიზანი რუსეთში აფეთქების მოწყობა იყო, ანუ რუსეთი საბაბს ეძებდა, საქართველოზე აგრესიის განსახორციელებლად.

— რუსეთის გარდა, „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა კიდევ რამდენიმე პატარა სახელმწიფომ აღიარა. ფაქტია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ გრძელდება მცოცავი ანექსია. ამ ვითარებაში გამოსავალი რა არის?

— ვითარება ჩიხში არ არის, რუსეთის, როგორც აგრესიული იმპერიის დამარცხება, კავკასიაში გარდაუვალია! რუსეთს დღეს აქვს დედამიწის 1/7-ის ფლობის სტატუსი, რაც სერიოზული პრობლემაა 140-მილიონიანი ერისთვის, რომელსაც საკმაოდ დაბალი განვითარების ხარისხი აქვს — ეს შეუდარებლად აღემატება რუსეთის პოტენციალს. რუსეთი კი განაგრძობს კოლონიალიზმს, რომელიც დიდი ხნის წინ დასამარდა, ამიტომ მისი გასვლა არა მხოლოდ კავკასიიდან, არამედ ჩრდილოკავკასიის სამხრეთ ზოლიდანაც კი გარდაუვალია. პუტინი ის კაცია, რომელმაც რუსებს მცირე ხნით გაუღვივა იმედი, რომ ჩრდილოკავკასიას დაიპყრობს და საქართველოში კიდევ გააძლიერებს გავლენის სფეროებს. სააკაშვილი დაბადებიდან მათი აგენტია და მისი დახმარებით მოიგო ომი, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკა რუსეთს ამყოფებს იზოლაციაში — უთხრეს, რომ ეს არ შერჩებათ. სამი-ოთხი სახელმწიფოს გარდა, რომელიც, ღმერთმა იცის, არის თუ არა სახელმწიფო, არავინ მიაქცია მათ პოლიტიკას ყურადღება. ეცადნენ, სხვა ქვეყნებსაც ელიარებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ამიტომ რუსეთი მზადაა ავანტიურისთვის, რათა პუტინმა პრესტიჟი აღიდგინოს.

რუსუდან შელია
557-100-768

რას სთავაზობს განათლების სამინისტრო სტუდენტებს, საზაფხულო დასაქმების ნაცვლად

სტუდენტები პერმანენტულ აქციებს მართავენ საზაფხულო დასაქმების პროგრამის აღდგენის მოთხოვნით — ეს განათლების მოქმედი მინისტრის, გიორგი მარგველაშვილის კიდევ ერთი გამოწვევაა. „ვერსია“ დაინტერესდა, რას აპირებს მინისტრი „მხოლოდ პოლიტიკურად ეფექტური“ საზაფხულო დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებით, რა რეფორმები გატარდა „მარგველაშვილის ეპოქაში“ განათლების სამინისტროში და რას სთავაზობს უწყება სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებს.

სტუდენტთა სტიპენდიებისთვის 3 500 000 ლარი გამოიყო, მასწავლებლების ხელფასი გაიზარდა

სიახლე, სამინისტროს 8-თვიანი მუშაობის ფონზე, უხვად დაგროვდა. მაგალითად, 2013 წლიდან ბაკალავრიატის 14 სპეციალობის სრული კურსი უფასო ხდება. ამ ინიციატივის გაჟღერებისას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განმარტა, რომ ნებისმიერი ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემისთვის ფუნდამენტური დარგების არსებობა აუცილებელია; ასევე სავალდებულოა სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემისთვის სამინისტროს მიერ პრიორიტეტად გამოცხადებულ დარგებში სპეციალისტების არსებობა. ითქვა ისიც, რომ სტუდენტები, რომლებიც ამ მიმართულებით ისწავლიან, თვითრეალიზებას, დაახლოებით, 2020 წლისთვის მოახდენენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რვა მილიონი ლარი შემდეგი ფაკულტეტების სტუდენტთა დაფინანსებისთვის უკვე გამოყო: აგრონომია, განათლების მეცნიერებები, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, მშენებლობა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ეკონომიკა, არქეოლოგია, ისტორია, ქართული ფილოლოგია, ფილოსოფია და არქიტექტურა.

პარალელურად, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტიპენდიანტ სტუდენტთა რაოდენობა გაორმაგდა, ასევე გაიზარდა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც სოციალური სტატუსისთვის შემოსავალს იღებენ. საერთო ჯამში, მარგველაშვილის უწყებამ სტუდენტების სტიპენდიებზე 3 500 000 ლარი გამოყო. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, **დავით ზურაბიშვილის** განცხადებით, სამინისტროს მიზანი უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ მოდელთან მიახლოებაა: **„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, უმაღლეს სასწავლებლებში, 14 ფაკულტეტი უფასო გახდა — სახელმწიფო ამ მიმართულებებს მთლიანად დააფინანსებს! მოგეხსენებათ, უამრავ ადამიანს უმაღლესი განათლების საფასურის გადახდა არ შეუძლია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ათასობით სტატუსშეწყვეტილი სტუდენტი გვყავს, ამიტომ ჩვენი მიზანია, უმაღლესი განათლების სისტემა ევროპულ მოდელს მიუახლოვოთ, სადაც უფასო ან მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი უმაღლესი სასწავლებლებია. ახლა საქართველოში ფსევდოამერიკული მოდელი მოქმედებს. ვიღაცამ ერთპიროვნულად გადაწყვიტა, რომ ჩვენ ქვეყანაში, უმაღლეს სასწავლებლებში, ყოველწლიურად, 2500-3000 ლარის გადახდა მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია. მართალია, ამერიკაშიც არაერთი კერძო უმაღლესი სასწავლებელია, თუმცა პარალელურად, „სთეით“ სასწავლებლებიც ფუნქციონირებს, სადაც შტატის მაცხოვრებლისთვის სწავლა უფასოა ან, როგორც მინიმუმ — ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ სტიპენდიანტების რაოდენობაც გაიზარდა, ახალგაზრდებს უფასოდ სწავლის საშუალებასაც ვაძლევთ და გრანტების რაოდენობაც გავზარდეთ. ვინც უფასო ფაკულტეტს არ აირჩევს, შეუძლია, გრანტი მოიპოვოს. სწორედ ამ მიზნით, ადრე არსებული 30%-იანი გრანტი, პრაქტიკულად, გავაუქმეთ და იმ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს ქულებს აიღებენ, ბევრად დიდი მასშტაბის დაფინანსება შევთავაზეთ“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს მდივანი **ელისო ჩაფიძე** აცხადებს, რომ განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ცვლილებების თანახმად, გაისად, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ორჯერ მეტი ახალგაზრდა შეძლებს უმაღლესი განათლების უფასოდ მიღებას: **„განათლების სამინისტრომ წარმოადგინა დაფინანსების ახალი მოდელი. ამის გამო, მცირედით შეყოვნდა რეგისტრაცია ამა თუ იმ სპეციალობაზე, მაგრამ ეს კანონპროექტი ნამდვილად ღირდა იმად, რომ 1-2 დღე მცირე ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად 14 სპეციალობას სახელმწიფო აფინანსებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამინისტრომ სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სტიპენდიები 20%-მდე გაზარდა. გაისად სასწავლო გრანტს, სტუდენტების გაორმაგებული რაოდენობა მიიღებს. ეს გადაწყვეტილება, განსაკუთრებით, იმ ოჯახებისთვისაა მნიშვნელოვანი, რომლებიც ეკონომიკური მდგომარეობის გამო, შვილებს განათლებას ვერ აძლევენ. სამწუხაროდ, ადრე უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ პრივილეგირებულები სწავლობდნენ. სწორედ ამიტომ მივიღეთ იმ სტუდენტების მრავალათასიანი არმია, რომლებმაც სწავლას მხოლოდ იმ მიზეზით დაანებეს თავი, რომ უნივერსიტეტში სწავლის საფასურს ვერ იხდიდნენ. ეს 14 ფაკულტეტი კი სწორედ ის დარგია, რომლებიც მომავალში სახელმწიფოს აღმშენებლობას სჭირდება. რაც მთავარია, განათლების სამინისტროს ინიციატივებს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც დაუჭირეს მხარი, რადგან ცვლილებები ადამიანების დასაქმების რეალური წინაპირობაა“.**

ეს ის შემთხვევაა, როცა განათლების სამინისტროს ინიციატივის ეფექტურობასა და დადებით მხარეს ოპოზიციის წარმომადგენლებიც აღიარებენ და ეთანხმებიან, თუმცა ამბობენ, რომ ამ მიმართულებით ძირეული ცვლილებები არ ტარდება. კითხვაზე, მომხრე ხართ თუ არა, განათლების სამინისტროს ძალისხმევა ყველა სტუდენტის პროფესიულ ორიენტაციაზე თანაბრად გადანაწილდეს და არა მხოლოდ შერჩეულ ნაწილზე, როგორც ადრე ხდებოდა, საპარლამენტო უმცირესობის წევრი **სერგო რატიანი**, ამგვარად პასუხობს: **„შესაძლოა, განათლების სამინისტროს მცირე არგუმენტი აქვს, თუ რატომ გაორმაგდა იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც სოციალური სტატუსისთვის იღებენ შემოსავალს, თუმცა ამ შემთხვევაში, შეკამათებისგან თავს შევიკავებ. ისიც უნდა ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობის დროსაც შეფასების სისტემა სწორედ იგივე პრინციპით ხორციელდებოდა და განსაკუთრებული ცვლილებები ამ მიმართულებით განათლების ამჟამინდელ მინისტრს არ შემოუთავაზებია“.**

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც სამინისტრო გვთავაზობს, ამჯერად მასწავლებლებს ეხება — მათი შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად, 26-59%-ით გაიზარდა. კერძოდ, 2013 წლის გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, ცვლილებები შევიდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურებაში: სრულ განაკვეთზე საბაზო ხელფასი 245 ლარიდან 305 ლარამდე გაიზარდა. კლასკომპლექტით სწავლების დანამატი 24,5-ის ნაცვლად, 30,5 ლარი გახდა. გაიზარდა იმ მასწავლებლის დანამატიც, ვინც არაქართულენოვან სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლის. კლასის დამრიგებლობის დანამატმა კი, 62,48-ის ნაცვლად, 76,25 ლარამდე შეადგინა. ამასთან, 19-დან 26 საგაკვეთილო საათამდე ჩატარებისას, მასწავლებელს სრული განაკვეთის ხელფასზე ყოველ შემდგომ საათზე 5 ლარი ემატება. ცვლილებების მიხედვით, სერტიფიცირებულ პედაგოგს დანამატი იმ შემთხვევაშიც მიეცემა, თუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგის დატვირთვა კვირაში 13 საათს შეადგენს. რაც მთავარია, ყოველთვიური ანაზღაურება უკლებლივ ყველა საგნის მასწავლებელს, დედაქალაქსა თუ რეგიონში გაეზარდა.

მასწავლებლებისთვის ხელფასების ზრდა და მეტი სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის სტიპენდიის დაფინანსება ის საკითხებია, რომელთა მოტივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ე.წ. საზაფხულო დასაქმების პროგრამა გააუქმა, მით უმეტეს, მინისტრი გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ამ პროგრამის განხორციელებას მხოლოდ პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. იგივე აზრს იზიარებს, მისი მოადგილე **დავით ზურაბიშვილიც**. „ვერსიასთან“ საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობა Summer job-ის პროექტს პოლიტიკური პროპაგანდისთვის იყენებდა: **„დღეს დასაქმების პროგრამის გაგრძელებას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები მოითხოვენ. საზოგადოების დანარჩენმა ნაწილმა კი, ძალიან კარგად იცის, რომ აღნიშნულ პროექტს ახალგაზრდების რეალურ დასაქმებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. როგორც გაირკვა, ნაცმოძრაობის წარმომადგენლები, მერიის მეშვეობით, ბიზნესმენებს სტუდენტების ერთჯერადად დასაქმებას ავალებდნენ. ორი თვის განმავლობაში, პროგრამაში ჩართული ახალგაზრდები არაფერს აკეთებდნენ, ფულს კი ბიზნესმენებისგან იღებდნენ. რეალურად, ეს სტუდენტები თვითმმართველობის სახით, ნაცმოძრაობის ფილიალებს წარმოადგენდნენ, ასე რომ, პოლიტიკურ პროპაგანდაში ფულის გადაყრას არ ვაპირებთ. პირიქით, ვცდილობთ, ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მიღების საშუალება მივცეთ და სამომავლოდ, როგორც პროფესიონალები დასაქმდნენ. რაც შეეხება „საზაფხულო თანამშრომლობას“, ვფიქრობთ, სტუდენტები, ფაკულტეტების გათვალისწინებით, შესაბამისი პროფილის დაწესებულებებში უნდა დასაქმდნენ“.**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ სტიპენდიანტების რაოდენობის გაზრდისა და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დაფინანსების, ამასთან, მასწავლებლებისთვის ხელფასების მატების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

ვერსიანიუსი

საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩასაბარებლად 9 500-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა

2013 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩასაბარებლად 9 500-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მაგისტრობის 2400-მდე მსურველმა A ტიპის ტესტი აირჩია, 1400-მდე აპლიკანტმა კი — B ტიპის. დაახლოებით ამდენივემ მონიშნა D ტიპის ტესტი. მაგისტრანტობის კანდიდატთა უმრავლესობა კი (3 500-მდე) გამოცდაზე E ტიპის ტესტს დაწერს. ყველაზე ცოტა, 800-მდე მონაწილე აბარებს C ტიპის ტესტს. რუსულ ენაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების სურვილი 120-მდე აპლიკანტმა გამოთქვა.

2013 წელს მაგისტრანტობის მსურველები ერთსა და იმავე საგამოცდო ტესტს აღარ ჩააბარებენ. მათთვის მიმართულებების მიხედვით სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები შემუშავდა. საგამოცდო ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან: წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა, ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა. ოთხი დავალებიდან სამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, აპლიკანტს უფლება აქვს, სპეციალობის გამოცდა, უშუალოდ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბაროს და სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელოს. საერთო სამაგისტრო გამოცდა 9-10 ივლისს ჩატარდება.

ქართული ღვინო რუსეთისკენ მომავალ კვირას დაიძვრება

ქართული ღვინო რუსეთისკენ მომავალ კვირას დაიძვრება, — ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი ავრცელებს. მისი თქმით, დასრულდა ყველა საჭირო პროცედურული ღონისძიება ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნების კუთხით. ამ კვირიდან დაიწყო აქციზური მარკების გაცემა, რომლებიც საქართველოში უკვე გამოგზავნილია.

დავითაშვილის ინფორმაციით, ასევე დაწყებულია პირველი პარტიების გამზადება და ღვინის ჩამოსხმა რუსეთში გასაგზავნად: **„მომავალ კვირას ყველას გეპატიჟებით იმ საწარმოებში, სადაც პირველი საექსპორტო პარტიები მზადდება რუსეთში გასაგზავნად. იმედი მაქვს, დღე დღეზე დაიწყება მომართვა ღვინის ეროვნულ სააგენტოში კომპანიების მხრიდან, რომლებსაც აქციზური მარკები მიღებული აქვთ და ექსპორტისთვის მზად არიან. მე უკვე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ აქციზები ფიზიკურად მიღებულია და იქით კვირას, რუსეთში ქართული პროდუქტი დაიძვრება“.**

ლევან დავითაშვილმა ისიც დასძინა, რომ აქციზურ მარკაზე განაცხადი ათამდე კომპანიას აქვს შეტანილი, ფიზიკურად კი, მარკები ჯერჯერობით, მხოლოდ ორმა კომპანიამ მიიღო. ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე მოხვდება ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან. რაც შეეხება ღვინის რაოდენობას, სასტარტოდ დაახლოებით, მილიონი ბოთლის შეკვეთა აქვთ მიღებული ქართულ საწარმოებს, თუმცა ეს რიცხვი გაიზრდება.

„ინტერპრესნიუსი“

დაბინძურებული ხორცის ბუმი საქართველოს ბაზარზე

ჯანმრთელობისთვის საშიში რა ბაქტერიები აღმოჩნდა ხორცის ნიმუშებში, რაფომ უნდა აიკრძალოს ხორცით გარევაჭრობა და რა მიზნით ხვდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერაციის პრეზიდენტი მადონა კოიძე გენადი ონიშჩენკოს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

ქართული სამომხმარებლო ბაზარი რომ არაკეთილსაიმედო და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციითაა სავსე, სიახლეს უკვე აღარავისთვის წარმოადგენს. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ შესაბამისი ორგანიზაციები, სხვადასხვა პროდუქტის შემადგენლობით, ბოლო დროს, უფრო ხშირად ინტერესდებიან. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციამ და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ერთობლივი ლაბორატორიული კვლევა ჩაატარეს და აღმოაჩინეს, რომ ხორცი მიკრობიოლოგიურად დაბინძურებულია. კვლევის შედეგებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერაციის პრეზიდენტი მადონა კოიძე გვაცნობს.

— საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციამ და სურსათის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს რამდენიმე ქალაქში, ერთდროულად, შეისყიდა აგრარულ ბაზრებსა და მარკეტებში ახალი ხორცი. თბილისის ტერიტორიაზე ოთხი, რეგიონებში კი რამდენიმე ნიმუში შევიძინეთ — ყველაში აღმოჩნდა მიკრობიოლოგიური დაბინძურება. ნიმუშები, პარალელურად, ორგან გადაიგზავნა: სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კვლევა ტენდერში გამარჯვებულ ლაბორატორიაში ჩაატარა, ჩვენ კი იმ ლაბორატორიაში, რომელთანაც ვთანამშრომლობთ. ორივე აკრედიტებულია და მათ დასკვნას იურიდიული ძალა აქვს.

— უფრო კონკრეტულად აგვიხსენით, მიკრობიოლოგიური დაბინძურება რას გულისხმობს?

— ხორცში აღმოჩნდა ნაწლავის ეკოლის ჩხირები და ნაწლავის ჯგუფის ბაქტერიები, რამდენიმე ნიმუშში დაფიქსირდა ეკოლის ბაქტერია — პათოგენები და პროთეუსი, ზოგ შემთხვევაში, პათოგენი მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა შეისწავლოს ყველა ეტაპი: სასაკლაო, დისტრიბუცია.... უნდა გაირკვეს, სად ბინძურდება ხორცი. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა თბილისშია. ჩვენ შევიძინეთ ხორცი მეტრო „სამგორთან“, აგრარულ ბაზარ „მამულში“. ნიმუში დაბინძურებული იყო პროტეუსითა და ეკოლიბაქტერიებით. ქეთევან წამებულის 91-ში, მაღაზიაში შეძენილ ხორცშიც იგივე პრობლემაა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ამ ობიექტზე ასევე აღმოაჩინა სასაკლაოს გვერდისავლით შემოტანილი ხორცი, რომელიც ამოიღეს და გაანადგურეს. ბიზნესოპერატორი კი დაჯარიმდა.

— ხორცი რომ ბაქტერიებით დაბინძურებულია ვიზუალურად როგორ უნდა შეატყოს მომხმარებელმა?

— იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ხორცის დაბინძურება თვალსაჩინოა — სუნით, გემოთი და კონსისტენციით მიხვდები, რომ პროდუქტი ძველია. სამწუხაროდ, უფრო ხშირად, ხორცს არ ეტყობა, რომ დაბინძურებულია. ვიზუალურად კარგი გგონია, მაგრამ ლაბორატორიული კვლევის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ ამგვარი პროდუქტის გამოყენება რისკფაქტორია მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის. „კარფურში“ შეძენილ ხორცში არ იყო პათოგენები, მაგრამ ნაწლავური ბაქტერიები აღმოჩნდა. ძირითადად, ხორცი აგრარულ ბაზრებში შევიძინეთ.

საგანგაშოა ისიც, რომ ხშირად, ხორცი ქუჩაში იყიდება. მაგალითად, მეტრო „ისანთან“, სურსათის ეროვნული სააგენტო კი არაა უფლებამოსილი გარევაჭრობაზე. ამ უწყებას არ აქვს უფლება, გამოიყენოს ბერკეტები და ინსპექტირება განახორციელოს. გარევაჭრობის პირობებში ხორცი იყიდება ყველანაირი პირობების დაცვის გარეშე, შესაძლოა, სასაკლაოს გვერდისავლითაც. ამ დროს, არავინ იცის, საქონელი ჯანმრთელი იყო თუ არა. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ხორცისა და მალფუჭებადი პროდუქტით გარევაჭრობა. ძირითადი დარღვევა ფარშის რეალიზაციის დროს ხდება. დაუშვებელია ფარშის წინასწარ დამზადება — ხორცის მყიდველის თვალწინ უნდა გატარდეს, არადა, ყველა ბაზარში იყიდება გამზადებული ფარში.

— რატომ არ შეიძლება ფარშის ამ პირობებში გაყიდვა?

— ფარში განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტია, მას ძალიან მოკლე რეალიზაციის ვადა აქვს, მომხმარებელს არ აქვს საშუალება, გაერკვეს, როდისაა ხორცი გატარებული.

— რამდენად სწორია შეფასება, რომ ხარშვის დროს, ხორცში არსებული ბაქტერიები და ჩხირები კვდება?

— ასე არაა, პათოგენმა შესაძლოა, სხვადასხვა სიმძიმის მოწამვლა გამოიწვიოს. რაც შეეხება ეკოლიბაქტერიას, ცნობილი ფაქტია, რა მძიმე ინტოქსიკაციას იწვევს.

— გაყინული ხორცის ლაბორატორიული კვლევა ჩაატარეთ?

— გაყინული ხორცით არ დავინტერესებულვართ, რადგან ძირითადად, ახალ ხორცს მოიხმარენ. გაყინული ხორცი, უმეტესად, სამაცივრე დანადგარიდან იყიდება. აქედან გამომდინარე, მისი დაბინძურება-გაფუჭების რისკფაქტორი ნაკლებია. თუმცა, რისკი იქაც არსებობს.

— ამ დღეებში რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოს უნდა შეხვდეთ, რატომ?

— საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია და მე, როგორც მისი პრეზიდენტი, მეორედ ვარ მიწვეული დსთ-ს საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაზე. პირველი შეხვედრა 19 ნოემბერს გაიმართა მინსკში, სადაც დსთ-ს ყველა ქვეყნის წარმომადგენელი იყო. ამჯერად, შეხვედრა იმართება ასტანაში, სადაც მიწვეულები ვართ, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია მომხსენებელია, ყაზახეთს, უკრაინას, ბელორუსსა თუ სხვა ქვეყნებს გამოცდილებას გავუზიარებთ და მათ რჩევებსაც გავითვალისწინებთ.

„ჩვენც ვარსებობთ!“ — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები ხელისუფლებას პრობლემების გადაჭრას სთხოვენ

მერაბ ბერიძე

ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონი, საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. „ჩვენც ვარსებობთ“ — ამ სახელწოდებით აქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებმა მთავრობის კანცელარიასთან გამართეს და ყოველთვიური პენსიის 150 ლარამდე გაზრდის მოთხოვნით პრემიერ-მინისტრის სახელზე განცხადებაც ჩააბარეს. მათი თქმით, 70-ლარიანი დახმარება ბავშვებისთვის აუცილებელი პირობების შექმნასა და მედიკამენტებს ვერ ანაზღაურებს.

„მშობელთა თანადგომისა და გაძლიერების ცენტრის“ წევრების განცხადებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვებში ინვალიდობის ჯგუფების განსაზღვრა არ ხდება, შესაბამისად, სექტემბრიდან პირველი ჯგუფის ინვალიდებისთვის 150-ლარიანი პენსიის დანიშვნა მათ არ შეეხება. კანცელარიასთან მშობლებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვიქტორ დოლიძე შეხვდა და აღნიშნული საკითხის გადახედვას დაპირდა.

ხელისუფლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებისკენ ქრისტიან-დემოკრატებიც მოუწოდებენ. პარტიის წევრის, **მაგდა ანიკაშვილის** თქმით, რამდენიმე კონკრეტული საკითხია, რომელთა გადაწყვეტაც ასეთ ბავშვთა სოციალურ მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს:

„პირველ რიგში, უნდა გამოსწორდეს სტატუსის მინიჭების წესი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა პენსია გაუთანაბრდეს ე.წ. პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსიას; უნდა ამოქმედდეს რეაბილიტაციის პროგრამები, დაინერგოს ე.წ. შინ მოვლის სერვისები, დაიწყოს ფუნქციონირება დღის ცენტრებმა, განსაკუთრებით რეგიონებში, საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტში კი აუცილებელია მედიკამენტების დაფინანსების გათვალისწინება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონეების მსგავსად, 70 ლარს იღებენ“.

ამასთან, ქრისტიან-დემოკრატები ამ საკითხებზე მომუშავე სამთავრობო საბჭოს გააქტიურებისკენ მოუწოდებენ.

„ვერსიასთან“ საუბრისას, „მომავლის სახლის“ ყოფილი დირექტორი **ცირა ლანჩავა** ამბობს, რომ დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი ბავშვების მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. მისი თქმით, ამ თვალსაზრისით, ყველაზე გაუარესებული მდგომარეობა გვაქვს: **„ეს, უპირველესად, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობით აიხსნება. ეს არ ნიშნავს, რომ მივატოვოთ ასეთი ბავშვები და ვთქვათ, რომ არაფერი გვეშველება. მით უმეტეს, ამ საკითხში უიმედობა და უსუსურობა მიუღებელია. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ის ვითარებაა, როცა ადამიანებს მომავლის იმედი აქვთ და ამისთვის იღვწიან კიდეც. მხოლოდ ურთიერთთანადგომის გარემო მოიტანს უკეთეს შედეგს, როგორც ბავშვებთან, ასევე ზოგადად, სოციალურად დაუცველ ფენებთან მიმართებაში. ამ იმედს არ ვკარგავთ და ველით, რომ ხვალ უკეთესობა გვექნება“.**

მისივე თქმით, ბავშვი ოჯახში უნდა იზრდებოდეს, სოციალურად დაუცველი იქნება თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე: **„ცალკე, იზოლირებულად, პატარა მოქალაქე ვერ განვითარდება. მას ურთიერთობა, ოჯახური სითბო სჭირდება. მხოლოდ საკვებისა და სათამაშოების მიტანა არ კმარა. დღეს, ზოგ მათგანს შეიძლება საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი არ აქვს, მაგრამ გაიზრდებიან და მიხვდებიან, რომ ეს ყველაფერი სატყუარა იყო. ეს არ არის ნამდვილი სიყვარულისა და თანადგომის გამოხატულება. ეს სიცრუეში ყოფნაა მხოლოდ.**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არც ერთი ბავშვი ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ. ჩვენ დღეს ფორმალობას, თვალთმაქცობას ვტოვებთ და ჯანსაღი ურთიერთობების წესზე გადავდივართ. თუნდაც ამ კონტექსტში, ბევრს აქვს პრეტენზია, რომ უხვი დაპირება იყო და სათანადოდ არ სრულდება. თუ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, გარწმუნებთ, ადამიანებიც მიხვდებიან, ერთმანეთს რა უნდა გაუკეთონ“.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მათ თანატოლებთან შედარებით, გაცილებით ხშირად ხდებიან დაშინების, დისკრიმინაციის, სიღარიბისა და მკვლელობის მსხვერპლნი. გაერო-ს ბავშვთა ორგანიზაცია ამ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას გმობს და საზოგადოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და საკომუნიკაციო ბარიერების აღმოფხვრას ითხოვს.

ოფიციალური მონაცემებით, ინდუსტრიულ ქვეყნებშიც კი, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვები 3-4 ჯერ მეტი რისკის ქვეშ დგანან, რომ ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ისინი უფრო იშვიათად დადიან სკოლაში, ვიდრე მათი თანატოლები და სკოლის დასრულების მცირე შანსი აქვთ. „იუნისეფის“ განცხადებით, მძიმე ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის მთავარი მიზეზი არასაკმარისი კვებაა, რის გამოც ყოველწლიურად 165 მილიონი ბავშვის განვითარება ფერხდება, ბევრ ადგილას საჭირო მედიკამენტები და ინვალიდის ეტლები არასაკმარისია.

სანდო ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რაოდენობის შესახებ არ არსებობს, ვინაიდან ბევრი მათგანი დაბადებისას არ რეგისტრირდება. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. იმედია, ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოება მეტი გულისხმიერებით მოეკიდება ყველაზე დაუცველ წევრთა პრობლემებს. ნებისმიერი საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი ხომ, ზოგადად, ასეთი კრიტერიუმებით ფასდება.



1. მორეგბისაგან შეკრული სამდინარო ტრანსპორტი
2. ბავშვის სასრიალო მარხილი
3. ინდუიზმის ერთ-ერთი უზენაესი ღმერთი
4. მეცნიერება ადამიანის წარმოშობის შესახებ
5. მოწინააღმდეგის ბანაკში გადასული ადამიანი
6. ძაღლის ჯიში
7. სპორტული შეჯიბრების დასასრული
8. მდინარე კასპის რაიონში
9. ყველაფერისადმი უინტერესობა, უხალისობა
10. მოწინააღმდეგის ხელების დაჭერა კრივში
11. აფხაზური ცხარე საწებელი
12. ძველრომაელთა მოსასხამი
13. პანტომიმის მსახიობი
14. მსახიობი ... დელონი
15. შარდის გამოყოფის უნებლიეტა თირკმლების უკმარისობის გამო
16. ინგლისის უმაღლესი საფეხბურთო ლიგა
17. იაპონური სპორტულ-ლოგიკური თამაში
18. თავბრუსხვევა
19. ხელის ნაწილი წინამხარსა და მტევანს შორის
20. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
21. მარგალიტის მომპოვებელი ქალი იაპონიაში
22. ნიგერის დედაქალაქი
23. კაპიტან ნემოს ხომალდი
24. თაგვის სახელი დისნეის მულტსერიალში
25. სულხან-საბას მშობლიური სოფელი
26. სასვენი ნიშანი
27. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი
28. ქირურგიული ინსტრუმენტების გამოსახარში ხელსაწყო
29. აშშ-ის ტელეპრემია
30. სოკოს ქსელი საკვებ პრო-დუქტზე
31. რაიონული ცენტრი სამეგრელოში
32. თინეიჯერთა კერპი
33. ინდური კობრა
34. სოფელი გორის რაიონში
35. კორეელთა ბელადი კიმ ჩენ ...
36. უდიდესი კურილიის კუნძულებში
37. შეუგნებელი ლტოლვა რაიმესაკენ
38. ევროპის ჯუჯა ქვეყანა (ტირეს გარეშე)
39. კედლის ჭაღი
40. ცისფერ-ფოთლებიანი ხეხილი
41. თაყვანისცემა, გაღმერთება
42. პომიდვრის წვენი
43. რაიმე ფაქტის ერთ-ერთი ახსნა
44. კომპოზიტორი ... მორიკონე
45. სკანდინავიელთა ძველრუსული სახელწოდება
46. სქესის უქონლობა
47. ქართული ანბანის V ასო
48. პატარა გამოქვაბული კლდეში
49. ავტორი რომანისა „მობი დიკი“
50. უსუფცეს-თა საბჭო ძველ საბერძნეთში
51. დიდი ჩაქუჩი
52. ... ქეთელაური
53. ზრდილობიანი მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
54. ირლანდიის საერთაშორ. აეროპორტი
55. ბანქოს სათამაშო მაგიდა
56. ქალაქი თურქეთში
57. ძველ ეგვიპტელთა ღვთაებრივი ხარი
58. დიდი მუწუკი
59. ფრანგი კომპოზიტორი
60. უძველესი ქალაქი მესოპოტამიაში
61. ქართველი კინოვარსკვლავი ... ელიავა
62. ლუთერანული ეკლესია
63. რომის პაპის ბრძანებულება
64. სასვენი ნიშანი
65. ნორვეგიის დედაქალაქი
66. ანტონ ფურცელაძის „... ხვიტია“
67. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
68. აზერ-ბაიჯანის დედაქალაქი
69. მწერალი ... ტოლსტოი
70. სპარსეთის აქემენიდთა იმპერიის ბოლო მეფე
71. მდინარე გერმანიაში
72. ხურდა ფული შვეციაში
73. საგნების გაორებულად დანახვა
74. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
75. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
76. უხელისუფლეობა
77. მდინარე ავსტრიაში
78. ერთი ხმისთვის განკუთვნილი მუსიკალური ნაწარმოები
79. ჰოლივუდის მსახიობი მირა ...
80. იტალიელი მომღერლისა და მსახიობის ჩელენტანოს სახელი
81. ანტილოპას სახეობა

წითელი ღვინო ფილტვის კიბოს წინააღმდეგ

წითელი ღვინო, მისი ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებების წყალობით, მწეველ ადამიანებში ფილტვის კიბოთი დაავადების რისკს ამცირებს. სასმელის ზომიერი მოხმარება იცავს ამ ორგანოს კიბოს უჯრედების აქტივაციისა და დაზიანებისგან. მეცნიერებმა ასეთი დასკვნა 45-დან 69 წლამდე ასაკის 84 ათასზე მეტ მწეველ ადამიანზე სამწლიანი დაკვირვების შედეგად გამოიტანეს. მედიკოსებმა ლუდის, წითელი, თეთრი ღვინისა და მაგარი სპირტიანი სასმელის მოხმარების ეფექტი შეადარეს ფილტვის კიბოს განვითარებაზე, ამერიკელმა ექიმებმა Kaiser Permanente-ს დეპარტამენტიდან დაასკვნეს, რომ მწეველების დასუსტებულ ფილტვებში წითელი ღვინო კიბოს უჯრედების წარმოქმნას უშლის ხელს.

ჰოროსკოპი
7 ივნისი

ვერძი — დღეს ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ, საყვარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობა კი, შეიძლება ჩიხში შეგიდეს.

კურო — დღეს ერთ-ერთი ახლო მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაოცებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ნიუანსებს... შესაძლოა, კარგი აშბავი გახაროთ ნათესავმა და ეს ინფორმაცია თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ტყუპები — დღეს, შესაძლოა, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, რომ მოთმინება დაგჭირდებათ, პაემანი კი, სჯობს, გადადოთ, რადგან დღეს შეხვედრა კარგს არაფერს მოგიტანთ და ვერც უსიამოვნო საუბარს გაექცევით.

კირჩხიბი — დღეს განსაკუთრებით მობილიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, დიდი სამუშაო რომ შეასრულოთ. ხანმოკლე სამსახურებრივი რომანი კი გარშემომყოფთა გულისწყრომას გამოიწვევს. ფრთხილად იყავით ავტომანქანის მართვისას.

ლომი — შეეცადეთ, დღეს ოცნებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზადაა, ნებისმიერ დროს გიმტროთ.

ქალწული — შესაძლოა ცვლილებები სამსახურში, არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა, სიღამოს კი მოსალოდნელია შეხვედრა გავლენიან ადამიანებთან.

სასწორი — დღეს შეგიძლიათ ისარგებლოთ ვითარებით და კარიერაში წინ წაიწიოთ, მაგრამ ფრთხილად იყავით, რადგან ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმაც კი შესაძლოა, პრობლემები შეგიქმნათ საქმიან პარტნიორებთან.

ღრიანცალი — საკარაუდოა, რომ დღე კონფლიქტით დაიწყოს. თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. ამიტომ კარგად დაფიქრდით, რადგან წარმატებას კომპრომისის გარეშე ვერ მიაღწევთ.

მშვილდოსანი — დიდია ალბათობა, რომ დღეს ვალი დაგიბრუნონ, ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. თუმცა, მოგლენებს ნუ დაჩქარებთ, რადგან კარდინალური ცვლილებებისთვის სასურველი დღე ნამდვილად არ არის.

თხის რქა — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანისთვის. დღეს ტყუილის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ თქვენვე დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და ნუ გაჯიუტდებით.

მერწყული — დღეს შეგიძლიათ, თამამად აიღოთ ვალი და თანხა საქმეში დააბანდოთ. გაბედულად განიხილეთ საქმიანი წინადადებები კოლეგებსა და უფროსობასთან. სიღამოს შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

თევზები — ამ ნიშნის წარმომადგენლებმა დღეს უფროსობასთან საბრძნე და გამძლეობა უნდა გამოავლინონ. გულახდილი საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ. კარგი დღეა ფინანსისტებისთვის.

სამართალდამცავებმა „დამნაშავე“ თხები დააკავეს

ინდოეთის პოლიციამ, საპატრულო პოლიციის მანქანის დაზიანების გამო, „დამნაშავე“ თხები დააპატიმრა. ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ ჩენაიში თხის ფარამ წითელი Honda Ascot Innova დააზიანა, რომელიც მხოლოდ ორი დღის შეძენილი იყო — ავტომობილი დაკაწრულია და დამტვრეულია მინები... პოლიციელებმა მხოლოდ სამი თხის დაკავება შეძლეს, დანარჩენები კი „დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ“. დაპატიმრებულ ცხოველებს პოლიციის განყოფილებაში რამდენ ხანს დატოვებენ, უცნობია, სამაგიეროდ, ბრალი თხების პატრონსაც წაუყენეს ცხოველების უყურადღებოდ დატოვებისთვის.

თუთიყუშის სიკვდილისთვის კომპენსაცია მისცეს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა, თუთიყუშის სიკვდილის გამო, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსგან 2200 გირვანქა სტერლინგის კომპენსაცია მიიღო, მიზეზი კი ის იყო, რომ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა ბრიტანელის სახლს დაბალ სიმაღლეზე გადაუფრინა, ძრავის გუგუნმა კი თუთიყუში ისე შეაშინა, რომ გული გაუსკდა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თავდაცვის სამინისტროს კომპენსაციის გადახდა უწევს შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების პატრონებისთვის — ასეთი 200-მდე შემთხვევაა და ბოლო წლებში ბრიტანეთის თავდაცვის ბიუჯეტიდან მსგავს ხარჯებზე 1,4 მილიონი გირვანქა სტერლინგია გახარჯული.

შოკოლადი დელიკატესი გახდება

კლიმატის კატასტროფული ცვლილების გამო, შესაძლოა, შოკოლადი 2250 წლისთვის დელიკატესად იქცეს, — ამის თაობაზე ტროპიკული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ცენტრში განაცხადეს. ექსპერტების მოსაზრებით, 40 წლის შემდეგ აფრიკის დასავლეთში ტემპერატურა 2,3 გრადუსით აიწევს, რის გამოც კაკაოს მოსაყვანად შეუფერებელი კლიმატი იქნება. შოკოლადის გლობალური ინდუსტრია, რომლის მოცულობაც დაახლოებით, 9 მილიარდ დოლარს აღწევს, ნედლეულის ნახევარს სწორედ განასა და კოტ-დ'ივუარიდან იღებს. შოკოლადის დელიკატესად ქცევის კიდევ ერთი მიზეზი ისიც შეიძლება გახდეს, რომ პარაზიტები ყოველწლიურად კაკაოს მოსავალს 30%-ით ამცირებს.

სასჯდომი ოთხ მილიონად დააზღვია

ბრიტანელმა ნატალი ტომასმა, რომელიც სასტუმროს თანამშრომელია, საკუთარი საჯდომი 4 მილიონ გირვანქა სტერლინგად დააზღვია. საქმე ისაა, რომ ქალი ქალაქ ლუტონში „საწოლების ტესტერად“ მუშაობს არც ისე ძვირიანი სასტუმროების ქსელში Premier Inn. იგი ამოწმებს, რამდენად კომფორტულია კომპანიის 46 ათასი საწოლი და ყოველ მათგანზე 20-20 წუთს ატარებს. მომავალი ორი წლის განმავლობაში, Premier Inn-ს ლონდონში კიდევ 20 ოტელის გახსნა აქვს დაგეგმილი, ნატალისაც „თავდაუზოგავი შრომა“ მოუწევს და სწორედ ამიტომ მიიღო მან საჯდომის დაზღვევის გადაწყვეტილება.

ჰოროსკოპი
8 ივნისი

ვერძი — ვერძებს დღე კოლეგებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, სიღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემა გაჩნდეს.

კური — დღეს დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დასრულებთ, რაც თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. გახდებით მნიშვნელოვანი მოგლენის მოწმე, ფინანსების მხრივ კი, საკმაოდ წარმატებული დღეა.

ტყუპები — დღე საუკეთესოა მოგზაურობისა და საქმიანი მოლაპარაკებისთვის. შესაფერისი დროა საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევად.

კირჩხიბი — კირჩხიბებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით — ეს ყველაფერი კი, თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას, ურთიერთობების გართულების ალბათობაც დიდია, არის დაშორების რისკი.

ლომი — დღეს დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობები განაახლოთ.

ქალწული — ქალწულები დღეს ყურადღების ცენტრში იქნებიან. წარმატებით დასრულდება ფინანსური ოპერაციები, შესაძლოა, გარკვეული დახმარება უცხოეთიდან მიიღოთ.

სასწორი — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, არც ფინანსური პრობლემები შეგაწუხებთ. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა და მობილიზება გმართებთ.

ღრიანცალი — დღე მადალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო მთელ ყურადღებასა და ენერგიას ითხოვს. სიღამოს გირჩევთ, მეტი დრო ოჯახის საქმეებს დაუთმოთ.

მშვილდოსანი — დღეს ადვილად შეძლებთ დამალოთ უმნიშვნელო შეცდომები. არ არის გამორიცხული დანაკარგი ადრინდელი ფინანსური ოპერაციების გამო.

თხის რქა — დღეს შესაძლოა ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაშაც შესაძლოა, გაუგებრობა და წყენა გამოიწვიოს.

მერწყული — დღეს გაგიჭირდებათ, გაუძლოთ ცდუნებას და გარშემომყოფების ნეგატიურ გავლენას. სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ წუწუნს უბედობაზე და სხვების მხარდაჭერის იმედი გქონდეთ.

თევზები — დღეს ფინანსური დანაკარგი ელით. სახლში დაძაბული ატმოსფერო იძულებულს გაგხდით, სიღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მოგზაურობისთვის.

სუდოკუ

ადვილი

7						2		
			7		1			
		6		9		4		
4	9		5					7
3		5				6		8
2					4		3	9
		7		3		8		
			9		7			
		4						6

სტანდარტი

		7				4		
5			7		9		1	8
					4			9
4							7	6
		1				3		
9	7							1
8			5					
6	3		8		2			7
		4				2		

რთული

8			6					1
4					8	5	9	
	1			7				
		4				3		2
	2		1		5		6	
6		8				1		
				3			4	
	8	1	9					3
3					2			6

ექსპერტი

					8	2	4	
		1	7				6	
		8	4		3	1		5
		6				7		
			6		1			
		5				3		
2		4	3		6	5		
	5				2	6		
	7	9	8					

ჰოროსკოპი
9 ივნისი

ვერძი — დღეს ახლობლების დახმარებით ყველაზე რთულ პრობლემებსაც ადვილად მოაგვარებთ, მაგრამ ძალიან დაუფიქრებლად მოქმედებთ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ცოტა ხანში მარტო აღმოჩნდებით.

კურო — თქვენი გულისტკივილი ისეთ ადამიანს გაუმხილეთ, ვინც გულდასმით მოგისმენთ და საჭირო რჩევასაც მოგცემთ. შესაძლოა, დღეს გარკვეული სიურპრიზიც მიიღოთ ახლობელი ადამიანისგან.

ტყუპები — პირადი ცხოვრება უნდა დაივიწყოთ, რადგან მთელი დღე გარშემომყოფების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. ისეთი ირეალური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდებით, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდით.

კირჩხიბი — დღეს უამრავ ინფორმაციას მიიღებთ. შეეცადეთ, ვითარებაში კარგად გაერკვეთ. ნუ გაართულებთ ცხოვრებას და ნურც სხვას შეუქმნით დისკომფორტს. ყველაფერი მოგვარდება, მთავარია, ნერვებმა არ გიმტყუნოთ.

ლომი — ყური დაუგდეთ გარშემომყოფების მოსაზრებებს. დღეს საკუთარ თავზე ბევრ საინტერესოს შეიტყობთ, რაც მომავლის უკეთესობისკენ შეცვლაში დაგეხმარებათ, თუმცა ნუ ჩაუღრმავდებით დეტალებს და დრო სხვა, მნიშვნელოვან საკითხებს დაუთმეთ.

ქალწული — დღეს ყველაფერი გეპარტიებათ, შეგიძლიათ ცოტა იცელქოთ კიდეც, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. თუ ხალხს უჭირს თქვენი გაგება, დამოუკიდებლად იმოქმედეთ და დროს ახსნა-განმარტებებში ნუ დაკარგავთ.

სასწორი — დღეს იმაზე მეტს იტვირთავთ, ვიდრე შეგიძლიათ, მაგრამ საბედნიეროდ, საღამოსთვის ყველაფერს გაართმევთ თავს.

ღრიანკალი — არ გაგიკვირდეთ, თუ დღეს ყველაზე უჩვეულო სურვილიც კი აგისრულდებათ, დიდ წარმატებამდე ერთი ნაბიჯი გაშორებთ. შეეცადეთ, მაქსიმალურად ფრთხილად იმოქმედოთ.

მშვილდოსანი — წარმატებული დღე გელით, მაგრამ თუ გულხელდაკრეფილი იჯდებით, ცოდნ ვარსკვლავებს არავინ მოგიწევეტთ.

თხის რქა — დღე ისე წარიმართება, როგორც დაიწყებთ. კარგი იქნება, დილიდანვე შეადგინოთ შესასრულებელი საქმის სია და იმის მიხედვით იმოქმედოთ. საკუთარი თავი დღეს სან-უქრებით გაანებივრეთ.

მერწყული — უფრო ღადად შეხედეთ მოგვლენებს და სხვების საკეთილდღეოდ საკუთარი საქმეებიც გვერდზე გადადეთ, ესე ყველაფერი არსებული პრობლემებისგან განტვირთვაში დაგეხმარებათ.

თევზები — დღეს დილიდანვე მოიარგეთ ვარდისფერი სათვალე და დატკბით ცხოვრებით. რასაც ვერ შეცვლით, იმაზე ზედმეტად ნუ ინერვიულებთ. უმჯობესია, დროის დიდი ნაწილი შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ.

ცნობილ ფეხბურთელს „ჩარეცხილი“ ჩვილის აყვანა სურს

ცნობილმა რუმინელმა ფეხბურთელმა ადრიან მუტუმ ჩინელი პატარას შვილად აყვანის სურვილი გამოთქვა, რომელიც ცოტა ხნის წინ საკუთარმა დედამ უნიტაზში ჩარეცხა და ის მაშველებმა სასწაულებრივად გადაარჩინეს. როცა ეს ისტორია მოვისმინე, შოკირებული ვიყავი... პატარა ტელევიზიით ვნახე და ვთქვი: უნდა ვიშვილომეთქი, — აცხადებს ფეხბურთელი. თუმცა, საქმე იოლად არ არის, რადგან რუმინეთი არ შედის იმ 17 ქვეყნის რიცხვში, რომელთა მოქალაქეებსაც ჩინელი ბავშვის შვილად აყვანის უფლება აქვთ და ამიტომ მუტუ და მისი მეუღლე ცდილობენ, როგორმე, კანონის გვერდის ავლით, მოახერხონ ჩვილის აყვანა. საკანალიზაციო მილიდან გამოყვანილი პატარა საავადმყოფოშია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც სტაბილურია, საქმეს კი სამართალდამცავები იძიებენ.

კემერონ დიასს სასურველი საქმრო ჰყავს

პოპულარული ჰოლივუდელი ვარსკვლავის, კემერონ დიასის პირად ცხოვრებაში სიახლეა. მსახიობი ორი წლის წინ დაშორდა ბეისბოლისტ ალექს როდრიგესს და მას შემდეგ სერიოზული რომანი არავისთან ჰქონია. ახლა კი, როგორც ჩანს, მის მარტოობას ბოლო მოეღო. დიასს ბოლო პერიოდში ხშირად ხედავენ ამერიკელ ავტომაგნატთან, „ტესლა მოტორსის“ გენერალურ დირექტორ ელონ მასკთან ერთად. 40 წლის ჰოლივუდელმა ვარსკვლავმა მასკი წლის დასაწყისში გაიცნო, როცა მის კომპანიაში ელექტრომობილის საყიდლად მივიდა. როგორც ამბობენ, 41 წლის მილიარდერსა და მსახიობს შორის გრძნობა მაშინვე გაჩნდა და შეხვედრაც დაიწყეს. მასკი ერთხელ უკვე იყო დაქორწინებული ბრიტანელ მსახიობ თალულა რაილზე, ისინი 2012 წელს ოფიციალურად დაშორდნენ. ამერიკული ყვითელი პრესა წერს, რომ მასკთან დაკავშირებით დიასმა რჩევა უფროს მეგობარს, მსახიობ ჯეინ ფონდას ჰკითხა და სწორედ მან შეუწყო ხელი წყვილის დაახლოებას.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	3	4	1	9	8	6	7	5
8	6	1	7	5	3	9	4	2
7	9	5	4	2	6	8	1	3
5	4	3	8	7	1	2	9	6
1	2	9	3	6	5	7	8	4
6	8	7	2	4	9	5	3	1
9	1	2	6	3	7	4	5	8
4	7	8	5	1	2	3	6	9
3	5	6	9	8	4	1	2	7

სტანდარტი

3	9	8	6	7	5	1	4	2
7	2	6	4	1	9	5	8	3
5	4	1	3	2	8	6	9	7
4	1	2	9	6	7	3	5	8
9	8	5	1	4	3	7	2	6
6	3	7	5	8	2	4	1	9
2	6	4	8	3	1	9	7	5
1	7	9	2	5	6	8	3	4
8	5	3	7	9	4	2	6	1

რთული

9	1	4	2	6	3	8	7	5
5	7	3	9	8	1	2	6	4
2	8	6	7	5	4	3	1	9
4	2	1	6	3	5	9	8	7
3	9	8	4	1	7	5	2	6
7	6	5	8	2	9	4	3	1
1	5	7	3	9	2	6	4	8
6	4	2	5	7	8	1	9	3
8	3	9	1	4	6	7	5	2

ექსპერტი

7	6	5	8	9	4	3	2	1
9	2	3	1	7	6	8	5	4
4	8	1	3	5	2	9	6	7
3	1	9	7	2	8	6	4	5
2	5	7	6	4	3	1	9	8
8	4	6	9	1	5	7	3	2
1	9	2	5	3	7	4	8	6
6	3	4	2	8	1	5	7	9
5	7	8	4	6	9	2	1	3

მე-13 გვერდი: 1. კვარცი; 2. ვარდი; 3. რასპე; 4. ფროიდი; 5. რერიხი; 6. იაკაო; 7. ფრესკა; 8. ლუდომანია; 9. მაკულატურა; 10. არმადა; 11. „აპასიონატა“; 12. იკაროსი; 13. ოკაპი; 14. დილემა; 15. ანორექსია; 16. აღაპი; 17. ახალი; 18. ბობ; 19. ალმასი; 20. პრესტო; 21. აზდაკი; 22. უნო; 23. ანსელმი; 24. პიპია; 25. პატარა კახი; 26. ბანდა; 27. რავალპინდი; 28. იარიგინი; 29. ბემოლი; 30. არა; 31. სოტბი; 32. ტორსი; 33. ალეპო; 34. ნაია; 35. ნავთი; 36. ნანეტი; 37. შუქი; 38. პიესა; 39. ვან; 40. ზენობია; 41. ოროლი; 42. ატაცი; 43. ეტნა; 44. სტრატეგია; 45. ბურსა; 46. აკმე; 47. კოლოდი; 48. ლავისი; 49. მაი; 50. აკელა; 51. სინოდი; 52. კიევი; 53. ნაიკი; 54. ტარო; 55. დრო; 56. „ლორეალი“; 57. ფხა; 58. ომერტა; 59. შხარა; 60. ინტი; 61. შეთე; 62. მაკე; 63. ლიე; 64. სე; 65. ადელი; 66. სკარამუში; 67. ლას; 68. ბლუ; 69. ბუი; 70. გორა; 71. ლიბრი; 72. ობი; 73. პა; 74. სტივენ; 75. ლაბა; 76. ტარიელი; 77. პირშუშხა; 78. აბელ; 79. კანტატა; 80. რუ; 81. უპესი; 82. კიკო.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ალერგენების დეტექტორი შექმნეს

შვედმა დიზაინერმა „ელექტრონული ცხვირი“ გამოიგონა, რომელიც თქვენთვის არასასურველ პროდუქტს ნებისმიერ კერძში გამოავლენს, მით უმეტეს იმას, რომელიც გავრცელებულ ალერგენად მიიჩნევა. პირველ რიგში, ეს ეხება რძეს, კვერცხს, თხილეულს, თევზს, მოლუსკებს... მოწყობილობა მარტივად მუშაობს: მიიტანთ მას საჭმელთან ახლოს, დააჭერთ ღილაკს და დაელოდებით, ვიდრე აპარატი ინფორმაციას დაამუშავებს. თუ კერძი საშიშ კომპონენტს შეიცავს, Food allergen detector მფლობელს კაშკაშა წითელი შუქით ამცნობს და ეკრანზე ალერგენის სახელსაც დაუწერს, ხოლო თუ ყველაფერი რიგზეა, მაშინ მწვანე შუქი ინთება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.